პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 91 (20132) სამშაბათი, 19 აპრილი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

მექანიზატორები ბეჯითობენ

ყოთელწყაროს რაიონის ქვემო ქედის კოლეგიურნეობის მექანიზატორებმა სკკ XIX კონფერენციის შესახვედრად კარგი თაოსნობა წამოიწყეს: რაიონის მექანიზატორებს მოუწოდეს პარტიული კონფერენციის გახსნის დღისათვის გადაჭარბებით შეასრულონ სამექანიზაციო სამუშაოთა ექვსი თვის გეგმა. ქვემოქედელთა თაოსნობას რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა მექანიზატორები ფართოდ გამოეხმაურნენ.

სოფელ ჯაფარიძის კოლეგიურნეობის კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელიც იჯარით მუშაობს, ვალდებულება იკისრა სამექანიზაციო სამუშაოთა შესრულების დროს დაზოგოს 8 ტონა საწვავსარეზი მასალები, წესების ზუსტად დაცვით და აგროვადებში დამთავროს საგაზაფხულო სამუშაოები, დანერგოს ინტენსიური ტექნოლოგია, რითაც, ჩვეულებრივთან შედარებით, ჰექტარზე — 7 ცენტნერით გაზარდოს მოსავლიანობა.

▼▼

შემართებით შრომობენ

საპირველმაისო შრომითს ვახტზე შემართებით შრომობენ ზუგდიდის რაიონის, ჯიხაშვილის კომკავშრის სახელობის კოლმეურნეობის მეჩიიები, მევენახეები, მებოსტნეები, მხვნელ-მთესველები. **ბუშინ** მოწიწავე მეჩიიებმა დაამთავრეს ჩაის ბუჩქების შპალერული სხვლა და ახლა გულმოდგინედ ემზადებიან ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის.

მევენახეებმა კარგად მოუარეს ზვრებს, ყველა აგროტექნიკური სამუშაოები ჩაატარეს ხარისხოვნად. მემინდვრეებმა 260 ჰექტარი ფართობის ხეხა დაამთავრეს, შეიტანეს ნაყელი და გადაწნეს. დაიწყეს სიმინდის, ლობიოს, სოიის, ბოსტნეულის თესვა, რომელსაც 1 მაისისათვის დამთავრებენ.

ჩვენთან გაბედულად ინერგება კოლექტიური და ოჯახური იჯარა, გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მეგობა მარლიამ, — რაც საშუალებას გვაძლევს გაიზარდოს პროდუქტების წარმოება, შემცირდეს ყველა სახის ხარჯები, სათანადო ყურადღება ექცევა მოშენირნეობის და ყაირათიანობას.

ბუშინ, 18 აპრილს ალინინა ქიგლთა დაცვის მსოფლიო დღე

ამ თარიღთან დაკავშირებული მასალები ინფორ ფურცელზე.

ქმედითობა

სხვისი ჭირი—ღობეს ჩხირი

„კომუნისტი“, 1988 წლის 2 თებერვალი.

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსის მოადგილე რ. შენგელია:

წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია, კრიტიკა სამართლიანია.

სადგურის საინფორმაციო სამსახურის, განყოფილების მოძრაობის სადისპეჩერო აპარატის მუშაკები გაფრთხილებული არიან, რომ მგზავრებს დროულად მიაწოდონ ინფორმაცია სახალო მატარებლების მოძრაობის, თბილისის სადგურში მათი მოსვლისა და სადგურიდან გასვლის შესახებ.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების საინფორმაციო ცენტრს დაეკალა, თბილისის სადგურის მორიგეს დროულად გადასცეს წინასწარი ინფორმაცია მეზობელი განყოფილებებიან სახალო მატარებლების გამოსვლის შესახებ.

ამასთანავე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მეშვეობით გვინდა მგზავრებს შევატყობინოთ, რომ თბილისის ახალ ვაგზალში მალე ამუშავდება ვიზეალური ინფორმაციის ტაბლოები, რომლებიც მგზავრებს სრულ ინფორმაციას მიაწვდიან სახალო მატარებლების მოძრაობის შესახებ.

ფერიდები „კომუნისტს“

ბინა და დაკეტილი?

20 თებერვლის „კომუნისტში“ გამოქვეყნებული იყო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წმინდის დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილის, მილიციის პოლკოვნიკის გ. ნადარეიშვილის წერილი „საპასპორტო რეჟიმი ყველას საზრუნავია“. რამაც ქალაქელებისთვის ერთად გულისტკივილი მომაყენა.

ქ. თბილისში გამოუყენებლად 241 დაკეტილი ბინა და ამდენივე, ალბათ, გამოსაყენები, მაგრამ...

პატივცემულო რედაქციავ: 43 წლის წინათ დამთავრდა დიდი სამამულო ომი. და ჩვენ, ომის ინვალიდები დღემდე ბინის მიღების აღრიცხვაზე ვართ, როცა ამ დროს თბილისში, ვინ მოოვლის, რამდენი დაკეტილი ბინაა. ამაზე მეტი დაცინვა, და დამცირება შეიძლება? ჩემი აზრით, ქალაქის საბჭოს შეხწევს იმის უნარი და ძალა, რომ ეს დაკეტილი ბინები ჩამოართვას ყველას, ვისაც გარყვნილების ბუდედ ან შემოსავლის წყაროდ გაუხდია, და გადაცეს რაიონების მიხედვით აღმასკომებს, რის შედეგადაც მოხდება ამ ბინების განაწილება მეტნაკლებად „გაჭირვებული“ ოჯახებისათვის. მე პირადად ლენინის რაიონში ვარ აღრიცხვაზე და დიდი სიამოვნებით შევალ გამონაცვლელ ბინაში, რადგან მეჩარს.

ალბათ თქვენ მაინც შეახსენოთ ქალაქის საბჭოს მესვეურებს, რომდენი უნდა ჰქონდეს კაცს, რა თანამდებობისაც უნდა იყოს იგი, 2-3 ადგილს თბილისში დაკეტილი ბინა და როდენი უნდა ვიყოთ უბინოდ ითიზე ჩამოხაოვლილი დარჩენილი ომის ინვალიდები?

გ. სოფრომაძე.

ნუგეში სახურავად არ გამოდგება

თხუთმეტი წელიწადია ვცხოვრობ ქალაქ თელავში, ალაზნის ქუჩა № 16 სახლის ბოლო, მეხუთე სართულზე. ბინა ბრტყელი გადახურვა აქვს და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამო ერთთავად ჩამოდის წვიმისა თუ გამფარი თოვლის წყალი.

პირველ ხანს მაინც ფანაფარ აროვას ვაუუფუბდით. ვეეგარსა თელავის საქალაქო სახლის ალბაკომი და სახლმმართველობის თავთონვე მოგვაკქცევდნენ უურადღებას, მაგრამ ამაოდ. შემდეგ დაეწყეთ ხალიული ჭერ ამათთან, ვისაც უუფალიდ ეხებოდათ ეს საკითხი, აქედან, რომ არაფერი გამოვიდა, პარტკომს რაკოომს, რაიისპბჭის ალმასკომსაც მივაკითხეთ. მთ კი ბაზ კვლავ საქალაქო სახლის ალმასკომის ხელმძღვანელობამ.

დ. მაისურაძე,
ეკონომიკოსი რეზაგენოლოგი.

ფერმაში—კომკავშირული საგზურით

ციური ბებერაძე ' ბოლნისის მეკვინახეობის სამეთა მეურნეობაში საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გახდა მანქანური წველის ოპერატორი. გოგონამ შეიყვარა თავისი არცთუ ადვილი და საპატიო პროფესია. მისი ოცდახუთიათე ძრიხა კარგადაა მოვლილი, გამოკვებული და წველადსაც კარგი ნაწველი ახარებენ. წლეულს ც. ბებერაძეს თითოეულ მეწველ ფურზე 2 500 კილოგრამი რძის მიღების იმედი აქვს. ეს საკონტროლო ციფრზე სამასი კილოგრამით მეტია. ვალდებულებათა შესრულებაში მას და მის მეგობრებს დეიზმარებიან საკავშირო-სამეურნეო ოლიმპიადის ფინალისტები, რომლებიც უბრუნველყოფენ ფერმებს სენაჟით, სილოსით, ჩალით და ბარლით.

სუნამოებზე: ერთ-ერთი საუკეთესო ბოლნისელი მწველავი ციური ბებერაძე; ამ ზენინების შემყურე მეცხოველეები დამშვიდებული არიან — ფერმები უზრუნველყოფილია საკვებით.

(საქართველოს ფოტო).

აქტუალური საკითხი

გეგმა გაიზარდა

აპრილში ჩვენმა რესპუბლიკამ 41 ათასი ტონა მეორეული ფანი ლითონი უნდა დამზადოს. ასეთი დაბალი გეგმა ამ მიმართულებით ჯერ არასოდეს გვქონია. ქვეყნის მეტალურგიული და მანქანათმშენებელი ქარხნების რიტმული მუშაობა მნიშვნელოვანწილად ჯართის უწყვეტ ნაკადად მიწოდებით უნდა. უბრუნველყოფთ.

გვინდა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების ხელმძღვანელებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებს იმის შესახებ, რომ ჯართის დაკალება სახელმწიფო გეგმის შესრულების უთუოდ შემადგენელი ნაწილი გახდა. ეს გაითვალისწინეს თბილისის ათივე რაიონის, ქუთაისის, ჭიათურის, გორის, აგრეთვე აბაშის, ამბროლაურის, ონლნისის, გარდაბნის, დმანისის, ზესტაფონის, სიღნაღის, თელავის, წალენჯიხის, ახალციხის ასსრ ჯართის ჩამბარებელმა ორგანიზაციებმა და პირველი კვარტალის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს.

სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით ქალაქების — ზუგდიდის, მარნეულის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ლენინგორის და კასპის რაიონებზე, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტის, მშენებლობის სამინისტროების, ცეკავშირის სისტემისა და სხვა ორგანიზაციებზე, ყველას ვერ ჩამოთვლი.

როგორც უკვე ითქვა, აპრილში 41 ათასი ტონა შავი ლითონი უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს, მაგრამ დღეისათვის დამზადებულია მხოლოდ 14 ათასი ტონა. დრო კი არ ითმენს, უნდა დაიჭარონ საქმე თბილისის რაიონებმა, აგრეთვე ბოგდანოვკის, გურჯაანის, ქარელის, მარნეულის, საგარეჯოს, თეთრწყაროს, თერჯოლის რაიონებმა. აფხაზეთში ამ თვეში დასაბმადებელი 1870 ტონიდან სახელმწიფოს ბხოლოდ 300 ტონა ჩაბარდა, აჭარაში 1590 ტონიდან — 400 და სამხრეთ ოსეთში 420 ტონიდან — 50.

ახლა საეჭოოა მაქსიმალურად გამოვიყენოთ თვის დაძლევამდე დარჩენილი დრო ლითონის შეაკრეფოდლდ. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა ორგანოებმა შეუხლეგნელი კონტროლი უნდა დაუწყნონ ჯართის დამზადების მსვლელობას.

სუნამოებზე: ერთ-ერთი საუკეთესო ბოლნისელი მწველავი ციური ბებერაძე; ამ ზენინების შემყურე მეცხოველეები დამშვიდებული არიან — ფერმები უზრუნველყოფილნი არიან სენაჟით, სილოსით, ჩალით და ბარლით.

ნდობის ფაქტორი

ნდობა თუ რწმენა, პასუხისმგებლობა თუ სტიმული? — ითხოვე ერთად, ითხოვე განუყოფლად. მხოლოდ ამ „ნაადგილზეა“ შესაძლებელი რადიკალური სამეურნეო რეფორმისა და საზოგადოების დემოკრატიზაციის ორგანული და ეონიერული შერწყმა. როგორც ვაუფი „პრავდის“ 8 აპრილის ნომრის სარედაქციო წერილშია აღნიშნული, მხოლოდ ამ გზითა შესაძლებელი აზროვნების და მოქმედების რეფორმეფიური გარდამნა, სოციალისტური საზოგადოების ლენინური პრინციპების აღორძინება.

ეკონომიკა და გარდაქმნა

ნდობის ფაქტორი

სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია

ყველაზე კარგი კონტროლი საკუთარი სინდისია

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი ჩვენი საწარმოსათვის წარუმატებელი გამოდგა. მოუქნელი მუშაობის შედეგად …

… ბით შარშან 18 ათასი მანეთით შემცირდა უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის საწარმოს მიერ გადახდილი ჯარიმა …

გარიშებს მათ მიერ ამ მხრივ გაწეული მუშაობის შესახებ. გაუმჯობესდა კონტროლიორთა საქმიანობა.

იანვრიდან მოყოლებული ყოველი ბრიგადა თუ უბანი უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის თვითონ იხდის ჯარიმას და პრემიასაც ემშვიდობება. მუშაობის ასეთი წესი, ცხადია, ზოგს მოსწონს, ზოგს არა, მაგრამ საქმისთვის კი ნაღდად სარგებლობა მოაქვს.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ხარისხის პრობლემა მთლიანად გადავწყვიტეთო ვერ ვიტყვით, მაგრამ გარდატეხას რომ მივაღწიეთ, ფაქტია. 1986 წელთან შედარე-…

… წყვიტოთ. სამისოდ სამინისტრომ თუნდაც ორი წლის მანძილზე უნდა დაგვიტოვოს მოგების სულ ცოტა 70 პროცენტი. ეს საკითხი დროულად უნდა გადაწყდეს.

და კიდევ: დღეს, მართალია, საწარმოო-დაწესებულებათა უფლებები იზრდება, მაგრამ, ვფიქრობ, ამ საქმეში ჯერჯერობით ლაპარაკი უფრო მეტია, ვიდრე კონკრეტული საქმე, სრული დამოუკიდებლობა არ ჩანს. არადა, ეს ძალზე საშური საქმეა და მისი მოგვარება უთუოდ სასიკეთოდ წაადგება ნებისმიერ წარმოებას. ერთ მაგალითს მოვიშველიებ. ადრე ყველა ახალი მოდელი თბილისს უნდა დაემტკიცებინა. გამწარებული ვიყავით. ამას იმდენი დავიდარაბა, იმდენი წვალება და დრო სჭირდებოდა, რომ ხშირად, სანამ მოდელს დაგვიმტკიცებდნენ, იგი უკვე მოძველებული იყო და მის დანერგვას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. ახლა ცოტა სული მოვითქვით. იმ მოდელებს, რომელთაც 15 პროცენტზე მეტად არ ემატება ფასი, ჩვენვე ვნერგავთ დამოუკიდებლად. ნუთუ არ შეიძლება, რომ ყველა მოდელი დამოუკიდებლად დავნერგოთ?

ვფიქრობ, აუცილებელია იმ ცუდი პრაქტიკის უარყოფაც, როდესაც ცალკეული ჩამორჩენილი საწარმოების მიერ დაშვებული გარღვევის დასაფარავად …

… ვამთავრეთ.

გაერთიანების პარტკომის საგანგებო ზრუნვის საგანია ნაწარმის ხარისხი. კომიტეტის სხდომაზე სისტემატურად ვისმენთ ცალკეულ პასუხისმგებელ მუშაკთა, სპეციალისტთა და ოსტატთა ან-…

… ნტი გაიმეტა. მართალია ეს შარშანდელთან შედარებით ათი პროცენტით მეტია, მაგრამ აშკარად არ კმარა იმისათვის, რომ უკეთ მივხედოთ საწარმოო და სოციალურ სფეროებს და სხვა ამოცანებიც წარმატებით გადავ-…

… ივნისისათვის შევასრულოთ წლევანდელი ექვსი თვის საგეგმო დავალებები.

ჯ. დუმბაძე,
ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ

საშუალო რგოლის სპეციალისტთა მომზადება და გამოყენება

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საშუალო სპეციალური განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტებით შევსებას ემსახურება თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმი. იგი ამზადებს მგეგმავ-ტექნიკოსებს, ბუღალტრებს, აღრიცხვისა და გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაციის, საქმის წარმოების ორგანიზაციის სპეციალისტებს და საშუალო განათლების იურისტებს.

კვალიფიციური სპეციალისტის მომზადების მიზნით თანამედროვე პირობებში ფართოდ გამოიყენება სწავლების მრავალი ტექნიკური საშუალება: მარტივი სასწავლო ხელსაწყოებით დაწყებული და ურთულესი ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიებით დამთავრებული. მაგრამ მთავარი და შეუცვლელი როლი პედაგოგს ეკუთვნის. დღემდე არსებული მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა და ძირითადად მოიწონა მთავრობის წინადადებანი, რომ გარდაიქმნას სახალხო …

სპეციალისტთა გამოყენების პრობლემაც. ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა კადრებზე რეალური მოთხოვნის შესწავლის საქმე და იქნება ეს ვერც კი შეძლოს ერთმა მაკოორდინირებელმა უწყებამ. ამის დასტურია თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმის ახალგაზრდა სპეციალისტთა 1987–88 სასწავლო წლის განაწილების გეგმა. ამ გეგმით 198 კურსდამთავრებულიდან მხოლოდ 76 კაცის (38 პროცენტი) განაწილებაა გათვალისწინებული სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. დანარჩენი 122 კაცი დატოვებულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს განკარგულებაში თავისუფალი მოწყობისათვის. 76 კურსდამთავრებულის შრომითი მოწყობაც გაძნელებულია, ვინაიდან ტექნიკუმში კონტინგენტის 80 პროცენტზე მეტი რესპუბლიკის რაიონებიდან არის ჩამოსული, სამუშაო ადგილები კი ძირითადად თბილისშია. ამავე დროს სამუშაოზე არ იღებენ იმათ, ვინც თბილისში მუდმივად არ არის ჩაწერილი. სახელმწიფო გეგმა არ სრულდება, პასუხს კი არავინ აგებს. არადა, რატომ არ უნდა სარგებლობდნენ ისინი კონსტიტუციით მინიჭებული შრომითი მოწყობის უფლებით? …

ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის. შარშან ტექნიკუმის კურსდამთავრებულთა სამუშაოზე მოწყობის მიზნით თხოვნით მივმართეთ რესპუბლიკის იმ სამინისტროებს, უწყებებს, მსხვილი საწარმოებისა და საწარმოო გაერთიანებების ხელმძღვანელებს, სადაც შეიძლებოდა ახალგაზრდა სპეციალისტების გამოყენება. სულ 31 ორგანიზაციას დაეგზავნა თხოვნა. მხოლოდ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, მეტროპოლიტენის სამმართველო და საქალაქო სახელმწიფო არქივი გამოგვეხმაურა. ამ უკანასკნელმა მოგვიწონა ღონისძიება, მაგრამ არავის გამოუთქვამს სპეციალისტთა სამსახურში მოწყობის სურვილი.

საშუალო რგოლის სპეციალისტთა როლი ალბათ იმანაც დააკნინა, რომ მკაცრად არ არის განსაზღვრული იმ სამუშაოთა ნუსხა, უმაღლესი განათლებისა და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტმა რომ უნდა შეასრულოს. საჭიროა დროულად მოეწყოს ატესტაცია, რომელიც განსაზღვრავს, ამა თუ იმ სამუშაო ადგილზე რომელი კვალიფიკაციის სპეციალისტი უნდა მუშაობდეს. „უმაღლეს სასწავლებელთა 7,5 ათასზე მეტი კურსდამთავრებული მუშაობს თანამდე-…

შტატების შემცირება) შეუწყნარებელია ტექნიკუმებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების უწყებრივი დაქსაქსულობა. ასე, მაგალითად, დღემდე ტექნიკუმები და საშუალო სპეციალური სასწავლებლები საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გარდა ექვემდებარებიან საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომიტეტს, ფინანსთა, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, და სხვა სამინისტროებს. იქნებ მიზანშეწონილი იყოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ერთ სამინისტროში გაერთიანება. საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე სპეციალობებში პარალელიზმის აღმოფხვრა და სპეციალობათა გამსხვილება ფართო პროფილის სპეციალისტის მომზადების მიზნით. ამ მიმართულებით უკვე არის წინგადადგმული ნაბიჯები. მაგალითად, საშუალო სპეციალური განათლების სპეციალობათა ნუსხაში „დაგეგმვა მანქანათმშენებელი მრეწველობის საწარმოებში“, „დაგეგმვა მშენებლობაში“, „დაგეგმვა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში“ და სხვა სპეციალობები გაერთიანდა ერთ სპეციალობად — …

იგი ვერ გახდა ფორმალიზმის ჩარჩოებს და ამდენად რეალური პრაქტიკული შედეგიც ნაკლებია.

სპეციალისტთა მიზნობრივ მომზადებაში ზოგიერთი უწყების ხელმძღვანელი მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ მათ მიერ გამოგზავნილი აბიტურიენტები აუცილებლად ჩაირიცხონ ტექნიკუმში. ამით აზრი ეკარგება მისაღები გამოცდების მოწყობას და აღარც საუკეთესოთა შერჩევის შესაძლებლობაა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაევალოთ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს თვითონ იზრუნონ ტექნიკუმებთან მათთვის საჭირო სპეციალისტთა მიზნობრივი მომზადების ხელშეკრულების გაფორმებაზე, ხოლო ტექნიკუმებმა პასუხი უნდა აგონ დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტის გამოშვებისათვის (რეკლამაციის მსგავსად).

მისასალმებელია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება ტექნიკუმის პედაგოგიური საბჭოს უფლებების გაფართოების შესახებ, რის საფუძველზეც ტექნიკუმებს უფლება ეძლევათ 15 პროცენტით შეცვალონ სპეციალურ საგნებში არსებული პროგრამები.

…

… ფილებების უწყვეტ სწავლებაზე გადასვლა უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის მუშაკთა და მასწავლებელთა განათლების დონესა და საზოგადოებრივ პროგრესს შორის აუცილებელ შესაბამისობას.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდა …

… ლოდ ტექნიკუმებთან ხელშეკრულების დადებით. იმ შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელები, სადაც ტექნიკუმის კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტები იწყებენ მუშაობას, მაქსიმალურად უნდა ზრუნავდნენ წარმოებაში მათი ადაპტაციისა და …

… ვესებას მიაღწიოს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საშუალო სპეციალური სასწავლებლის მართვის ფორმების სრულყოფის საკითხი. ამჟამად სამინისტროებსა და უწყებებში მმართველობით სფეროში მიმდინარე გარდაქმნის ფონზე (იგულისხმება …

… ეკონომიკური პროფილის სპეციალისტების ეკონომიკურ ტექნიკუმში მომზადება, პოლიტექნიკური პროფილისა — პოლიტექნიკურ ტექნიკუმში და ა. შ.

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა მიზნობრივი მომზადება პროგრესული ფორმაა, მაგრამ ჯერჯერობით …

… გადაწყვეტა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური წინსვლის საწინდარია.

დ. კურტანიძე,
თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

მეტალურგთა წვლილი

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა განა მარტო ერთ-ერთი მოწინავე სამრეწველო საწარმოა რესპუბლიკაში, იგი ბევრი საზოგადოებრივი საქმის ტონის მიმცემიც არის.

აი, ახლაც ქარხნის კოლექტივ-…

კომპლექსური ანალიზი და მისი გამოყენება; ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია; ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები.

მათემატიკური მეცნიერების სხვადასხვა პრობლემაში ჩატარებულ უახლეს გამოკვლევათა ეს თავისებური დათვალიერება ოთხ …

სამეცნიერო სემინარი

…

ახალი პროდუქციის მოთხოვნილებაა

…

ვისწავლოთ ეკონომიკა

შეეკითხეთ „ფინანსებს“

რას ნიშნავს წარმოების ინტენსიფიკაცია?

მ. ბერიძე (მახარაძე)

წარმოების ინტენსიფიკაცია — ეს არის ეკონომიკის დონის ამაღლება, რომელიც ეფუძნება სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს, შრომის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის ფორმების სრულყოფას, მისი ძირითადი მახასიათებელია მაქსიმალური შედეგების მიღწევა შედარებით ნაკლები დანახარჯებით, ე. ი. ინტენსიფიკაცია …

მეურნეობრიობის ახალ პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახსრები სამეურნეო ორგანიზაციებისა და წარმოების მატერიალური და სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ჩვენი დაწესებულება ბიუჯეტიდან ფინანსდება. ხომ არ არის რაიმე სიახლე ამ მიმართულებით?

ს. მათიაშვილი (თელავი)

ასეთი სიახლე არის. იგი გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალ-…

ლურ-ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად, შენობა-ნაგებობათა დაცვა-შენახვისა და კაპიტალური რემონტისათვის, ტერიტორიის კეთილმოწყობად და ა. შ.

შეიძლება თუ არა კოოპერატივების ქონების დაზღვევა?

თ. ლომიძე (თბილისი)

შეიძლება. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ 1987 …

… ყოველ 100 მანეთზე 40 კაპიკი.

საკონფერენციო ტრიბუნა: კომუნისტი ითხოვს სიტყვას

საჭიროა მჭიდრო კონტაქტები

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში ხშირად საკმაოდ მწვავედ იგრძნობა კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა. სხვადასხვა სათანადო ღონისძიების განხორციელებასთან ერთად ამ საკითხის სასიკეთოდ გადაწყვეტაში თავისი სიტყვა უნდა თქვას სკოლამაც, რომელსაც უთუოდ მართებს პროფორიენტაციული მუშაობის გაძლიერება.

არადა, ამჟამად თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღმზრდელობითი მუშაობის ეს მეტად მნიშვნელოვანი მხარე ბევრგან აშკარად ფორმალური ხასიათისაა. ალბათ ამის შედეგიც არის, რომ 1986 წელს პანკისის საბჭოთა მეურნეობაში განაწილებული ახმეტის № 180 პროფსასწავლებლის ორმოცდათხუთმეტი კურსდამთავრებულიდან არც ერთისთვის არ მოიძებნა სამუშაო ადგილი. მეურნეობა კი ამ დროს …

მექანიზატორთა ნაკლებობას განიცდის. ეს იმასაც მიგვანიშნებს, რომ საჭირო საქმიანი კონტაქტები არ არის დამყარებული რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების, პროფტექსასწავლებლის, მეურნეობისა და სკოლის დირექციებს შორის.

ს. მარგოშვილი,
ახმეტის რაიონის ჯოყოლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო

ჩვენი რეპორტაჟის მიზანია, რამდენადაც საშუალებას მოგვცემს საგაზეთო მასალა, მკითხველს ვაუწყოთ, რასაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომათა დარბაზში პროფტექნიკურ სასწავლებლებზე მოვისმინეთ.

დარბაზში სადაცაა მუშაობას დაიწყებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალური გამოყე-…

… ბნენ დეპუტატები, რათა იმსჯელონ მისი შესრულების მიმდინარეობის შედეგებზე.

კომისიების სხდომას ხელმძღვანელობს აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის თავმჯდომარე როდენ მემარნიშვილი.

მომხსენებელმა — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ …

… და გულს უცრუებს მათ პროფესიაზე.

მოხსენებიდან ისიც შევიტყვეთ, რომ დღემდე მთავარი პრობლემაა სოფლის პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა განაწილების, ადგილებზე მათი დამკვიდრების საკითხი. ასეთ შემთხვევაში ციფრებს მიმართავენ ხოლმე და გვერდს ვერც ჩვენ ავუვლით.

1986 წელს სოფლის სასწავლებ-…

… მუშავებელ ნორმებს და უარს ეუბნებიან მათთვის სხვა დადგენილ შეღავათებზე.

ამის შედეგად გარდაბნის, წყალტუბოს, ლანჩხუთის აგროსამრეწველო გაერთიანებების ორგანიზაციებში ახალგაზრდა სპეციალისტების გამომუშავება მხოლოდ 20-25 მანეთს შეადგენს. ქარელის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კი, სადაც ამავე რაიონის № 40 საშუალო-…

სპეციალისტებს მოსამზადებლად 1988–90 წლებში სასწავლებლები დამატებით მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და ინვენტარს, ჩარხ-დანადგარებსა და მიწის ნაკვეთებს სასწავლო მეურნეობათა მოსაწყობად.

თანამომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ იქ, სადაც ზემდგომი ორგანოების დადგენილებას დიდი გულისყურით მოეკიდნენ პარტიის რაიკომები და რაისაბჭოს აღმასკ-…

… ავტონომიურ ოლქში, ასპინძაში, გაგრაში და სხვა რაიონებში კი არცერთი.

თანამომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე მუშათა კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესების თაობაზე და დასძინა, რომ ამისათვის აგროსამრეწველო გაერთიანებებმა სათანადო დახმარება უნდა აღმოუჩინონ სასწავლებლებს და მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერ-…

… ესაჭიროებათ და რაც მთავარია მოსწავლეები ავტომატურად ჩართვებიან წარმოების პრაქტიკულ მუშაობაში, შეეძლიან დამატებით პროდუქციის და გამომუშავებათ შრომის პრაქტიკული ჩვევები.

ამ გამოსვლას მხარი დაუჭირა დეპუტატმა მ. მდივანმა და მან თავის მხრივ დასძინა: — თუ ახალგაზრდა სპეციალისტებს საბაზო ორგანიზაციებში მოვამზადებთ, აღარ დაგვჭირდება სასწავლებ-…

… ურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მომზადებული კონტინგენტის სპეციალობის მიხედვით დასაქმებაზე.

კომისიებმა ურჩიეს აგრეთვე სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებსა და შესაბამის აგროსამრეწველო გაერთიანებებს, — განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდა მუშების საოჯახო და კოლექტიური …

…

და 1987 წლის თებერვლისათვის სამუშაოს შემორჩა მხოლოდ 5554 სპეციალისტი. ხოლო 1987 წელს 12500 კურსდამთავრებულიდან სასოფლო-სამეურნეო საწარმოში გააგზავნეს 11 490 და წლეულს ადგილზე აღმოჩნდა მხოლოდ 6183. დანარჩენი 5186-დან ზოგი …

… საშუალო თვიური ხელფასი 50 მანეთს არ აღემატება. სწორედ აქ უნდა ითქვას, კომენტარი ზედმეტიაო.

საქართველოს სსრ პროფტექგანათლებისა და აგროსამრეწველო კომიტეტმა, — თქვა დასასრულს მომხსენებელმა, — შეიმუშავეს …

დღეს ისეთი მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სასწავლებელი, როგორიც გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეშია, მსგავსი ჩვენს რესპუბლიკაში არ მოგვეპოვებაო.

შემდგომ მან მოწინავეთა რიგებში მოიხსენია აბაშის, ქარელის, …

მოხსენებისა და თანამოხსენების გამო გაიმართა კამათი.

— ამჟამად, გარდაქმნის პროცესში, მეურნეობრიობის მართვის ახალ ფორმებზე გადასვლის პირობებში, — თქვა დეპუტატმა ი. ხარატიშვილმა, — განსაკუთრებული …

გარემო ცვლის ადამიანს

რეპორტაჟი შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიების სხდომიდან

… სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, ზოგმა სწავლა გააგრძელა. ოჯახური მიზეზების გამო ვერ გაანაწილეს — 584, მაგრამ არა სპეციალობით დასაქმებისათვის სამუშაო მიატოვა 228 კურსდამთავრებულმა. ეტყობა ეს სამწუხარო ფაქტი არ გახდა მკაცრი მსჯელობის საგანი. შარშანდელი კურსდამთავრებულთაგან ახალქალაქის აგროსამრეწველო გაერთიანებაში არა სპეციალობით მუ-…

XII ხუთწლედში სოფლის პროფესიული ტექნიკური სასწავლებლების განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის კონკრეტული პროგრამა. მისი განხორციელება ბევრ სიკეთეს მოუტანს პროფტექსასწავლებ-…

… სართიჭალის, ინგირის, ამბროლაურის, მარტყოფისა და ლაგოდეხის (№ 84, 40, 85, 77, 156, 115, 88) პროფტექნიკური სასწავლებლები. სამწუხაროდ, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ყოფილა ისეთი სასწავლებლებიც, რომლე-…

… მნიშვნელობა ენიჭება კადრებს, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს. ამიტომ თავისთავად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემასა და საბაზო ორგანიზაციებს. თუმცა, როგორც აქ მოვისმინეთ, ისინი დიდი სიძნელეების წინაშე არიან.

ყურადღება მივაქციე იმასაც, რომ ჯერ კიდევ დიდია სასწავლებლებიდან მსმენელთა განთესვისა …

…

თურმე ნუ იტყვით, როცა კურსდამთავრებულები განაწილების ადგილებზე მიდიან, საწარმოთა ხელმძღვანელები ახალბედა მექანიზატორებს მოძველებულ ტექნიკას სთავაზობენ, ასეთი „ყურადღება“ კი უარყოფითად მოქმედებს მათს გუნება-განწყობილებაზე …

მომხსენებელმა ახალგაზრდა სპეციალისტების მიერ სამუშაოდან წასვლის ერთ-ერთ მიზეზად ჩათვალა აგრეთვე მათი შრომის დაბალი ანაზღაურება. ზოგჯერ საქმე იქამდეც კი მიდის, კურსდამთავრებულს მუშაობის პირველ პერიოდში არ უმცირებენ გამოსა-…

… მანეთი XII ხუთწლედში პროფტექნიკური სასწავლებლების ობიექტების მშენებლობისათვის. 1986–1987 წლებში კი სასწავლებლებს გადაეცა სხვადასხვა მარკის — 68 ტრაქტორი, 2 ექსკავატორი, 16 — ავტომობილი, სკრეპერი გრეიდერი და სხვა ტექნიკა. ახალგაზრდა …

… ბილი გახდა ისიც, რომ ოპტიმალურად არ არის გადაწყვეტილი საქართველოს ტერიტორიაზე აგროსამრეწველო კომპლექსის საბაზო პროფტექნიკური სასწავლებლების დისლოკაციის საკითხი. ზოგიერთ რაიონში ორი, სამი და ოთხი სასწავლებელია, აჭარის …

… მეტი ინტერესი გაჩნდება, რომ შესაბამისმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ გააუმჯობესონ ახალგაზრდების სწავლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. ამასთანავე სასწავლებლებში მიიღებენ და მოამზადებენ იმ სპეციალისტებს, რომლებიც მათ …

… ონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიის 1986 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით და მკაცრი კონტროლი დააწესონ სოფლის მეურნეობის პროფილის პროფტექნიკური სასწავლებლების მატერიალ-…

… გამოდის, რომ ყოველწლიურად 1500-ზე მეტი ტრაქტორი ცდება.

მოდი და მოუძებნე გამართლება მათ, ვინც უგულოდ ეკიდება ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდისა და დაოსტატების საქმეს.

რ. ბასილაშვილი,

წარსულის აწმყოს ეხმიანება

ალორძინებული სოფელ უდაბნოს მკვიდრი ხუთი ვაჟკაცი ყოველთვის, როცა სამუშაოდ მიდის, გაივლის გზას, რომელსაც ალბათ, გადიოდნენ ათასწლეულზე მეტი ხნის წინათ ამ ადგილების მკვიდრნი, რომლებიც დავითგარეჯის უბადლო სამონასტრო კომპლექსს აშენებდნენ.

ეს ხუთი ვაჟკაცი დილიდან საღამომდე მუშაობს სამშენებლო იარაღებით და თავის ხელის სითბოს ტოვებს აგურებზე, ისე საოცრად რომ ჰგავს იმათ, რომლებითაც მათს შორეულ წინაპრებს ამოჰყავდათ დავითის ლავრის — მონასტრის კედლები, რომელიც ნახევრად უდაბნო გარეჯის ქედის ერთ-ერთ ფერდობზე აღიმართა მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში და შემდეგ ხალხის სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი აქტიური კერა გახდა.

უდიდესი სიძნელეებით არის აღსავსე დროის გზა. ბევრმა ცივილიზაციამ, შემოქმედებითი რესურსების ამოწურვის შემდეგ, ვერ შეძლო დაეძლია მორიგი ალმართი და სამუდამოდ დარჩა მის განაპირას, როგორც ყოფილი სიდიადის სამწუხარო მოგონება. რამდენი ყოფილა ასეთი ტრაგიკული ალმართი და მკვეთრი მოსახვევი ჩვენს ისტორიაში? ვინ დათვლის? და აი, გავიარეთ რა ერთ-ერთი მათგანი, ჩვენ მხედველობიდან დავკარგეთ დავითგარეჯა — იგი მორიგმა ისტორიულმა ბედუკუღმართობამ დაგვიმალა. მაგრამ დრომ ვერ წაშალა მეხსიერება. დადგა მომენტი და კვლავ გაგვახსენა წინაპართა მემკვიდრეობა, ჯერ გაუბედავად, შემდეგ სულ უფრო დაბეჯითებით.

დავითგარეჯა... აქ ახლა აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. მუშათა პატარა ჯგუფი სამუშაოთა მწარმოებლის გია ხუცილავას ხელმძღვანელობით ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ სწვდება ნაგებობათა ყოველი ფრაგმენტის არსს, რათა შემდეგ აღადგინოს ისინი პირველქმნილი სახით.

— ესოდენ დიდმნიშვნელოვან ობიექტზე სარესტავრაციო სამუშაოების წარმოება განსაკუთრებით რთულია, — თქვა სამუშაოთა მწარმოებელმა, — ძალიან დიდია პასუხისმგებლობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, ყოველი მშენებელი ინჟინერი იამაყებდა დავალებით, რომელსაც ჩვენ ვასრულებთ. პერსპექტივაში, სამუშაოთა გაფართოებასთან ერთად აქ შეიქმნება სპეციალური სამშენებლო უბანი. ვაპირებთ აგრეთვე ადგილზე მოვაგვაროთ ძირითადი საშენი მასალის — ქართული აგურის წარმოება. როცა პროექტი მზად იქნება, სამშენებლო მოედანი მოიცავს დავითის ლავრას, უდაბნოს მონასტრებს, ბერთუბანს, ჩიჩხიტურს და სხვ. შესასრულებელია სამუშაოთა დიდი მოცულობა ფაქტობრივად განსაკუთრებული საინჟინრო მომზადების გარეშე, რამდენადაც ყველა ობიექტისაკენ მისასვლელი გზების გაყვანა ნიშნავს დაირღვეს ხუროთმოძღვრული ძეგლების განუმეორებელი ჰარმონია, რომლებიც, როგორც ხედავთ, ლანდშაფტის ორგანულ ნაწილს შეადგენენ.

უჩვეულოდ დაიწყო სამუშაო დღე წინა შაბათს. დილაადრიან ლავრასთან გაისმა ოფიცერთა მკაფიო ბრძანებანი, გაირინდა მეომართა მწყობრი, რომლებიც მოვიდნენ აქ შაბათობაში მონაწილეობის მისაღებად, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან ერთად რომ მოეწყო.

— გაიგეს თუ არა, რომ ძეგლის რესტავრაცია იწყება, — თქვა ოფიცერმა ნ. ზოზულიამ, — ჩვენმა კომკავშირელებმა გადაწყვიტეს დახმარებოდნენ მშენებლებს, დაუკავშირდნენ თავიანთ თანატოლ სტუდენტებს და მათთან ერთად განსაზღვრეს სამუშაოთა ფრონტი. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ასეთი ღონისძიების მნიშვნელობა მეომართა პატრიოტული აღზრდისათვის. წარსულის კულტურულ მემკვიდრეობასთან შეხვედრა მათ მკაფიოდ წარმოუდგენს თავიანთ ამოცანას — დაიცვან სამშობლოს არა მარტო აწმყო, არამედ ისტორიაც, იგი კი სამშობლო — ყველას ერთი გვაქვს — საბჭოთა კავშირი.

სწორად თქვა ნიკოლოზ ვიქტორის ძემ — ეროვნულ ნიადაგზე შექმნილი კულტურის ძეგლები მუდამ ყველა ადამიანის კუთვნილება ხდება. ამიტომაც მოიყვანა დავითის ლავრის კედლებთან თავისი ოცეული უფროსმა ლეიტენანტმა ე. ქარიმოვმა, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა ავღანეთიდან, სადაც ინტერნაციონალურ ვალს იხდიდა და საბრძოლო დამსახურებისათვის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებაზეა წარდგენილი. იქ მას არაერთხელ წაუყვანია საიერიშოდ თავისი ქვეგანაყოფი, რომელშიც მხარდამხარ იბრძოდნენ რ. ბირაძე, გ. მუტალიმოვი, მ. იუსუპოვი, ი. მაქსიმოვი და სხვები. და აი, ახლა მშვიდობიან შრომას მონატრებულმა მეომარმა ხალისით მოჰკიდა ხელი ნიჩაბს და კვლავ საქმისათვის გაუძღვა ოცეულს. აქ, ძველი ტაძრის კედლებთან, მხარდამხარ შრომობდნენ იმიერურალელი ოლეგ შურგინი და უზბეკი იუსტაფე იხაევი, მოსკოველი ვლადიმერ ტორგოვცევი და აზერბაიჯანელი ალგამ ასკეროვი, ერევნელი არამაის გოროიანი და ლიტველი ლინდა ნორმუნდი.

დღევანდელ მეომრებსა და სტუდენტებს საერთო და სალაპარაკო ბევრი აქვთ, ინტერესებიც საერთო აქვთ. ბევრი სტუდენტი სულ ცოტა ხნის წინათ გავიდა თადარიგში, ზოგი ჯარისკაცის გიმნასტურიანი ჭაბუკი ყოფილი სტუდენტია.

ძნელად დასამალი მღელვარებით შეხვდნენ შაბათობის მონაწილეებს დავითგარეჯის მუზეუმის თანამშრომლები მისი დირექტორის ილო ქვლივიძის მეთაურობით, რომელიც უკვე ცამეტი წელია იცავს ქართული ხუროთმოძღვრების შედევრებს. რა არ მომხდარა ამ ხნის განმავლობაში — სასიხარულოც და სამწუხაროც. არ მომხდარა მხოლოდ იმედის გაცრუება. ნახევრად უდაბნოს მცხუნვარე მზის სხივებში ილო ქვლივიძეს ფეხით გაუვლია რამდენიმე ათეული კილომეტრი, შემოუვლია მისთვის მინდობილი ხალხის ისტორიის ნათელი ქვის ფურცლები. დიდხანს მდგარა XI—XII საუკუნეების უნიკალური ფრესკების წინ უდაბნოს მონასტერში, რათა ზიარებოდა ბერთუბნისა და ნათლისმცემლის გასაოცარ ჰარმონიას.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებული დადგენილება გამოქვეყნების დღიდანვე ამოქმედდა, — თქვა ილო ქვლივიძემ. — მან დაარღვია დავითგარეჯის არქიტექტურულ ძეგლებში გამეფებული ათასწლოვანი სიჩუმე. ჩვენი ახალგაზრდობის სახით ამ ძეგლებმა საიმედო ბატონ-პატრონი შეიძინეს. უკვე გაიწმინდა ლავრის გარშემო ტერიტორია, შეიქმნა დამცავი ზონა.

და, მართლაც, შაბათობაზე ჩამოსულმა სამხედრო მოსამსახურეებმა და სტუდენტებმა დავითის ლავრაში ნახეს წინა დღიდან იქ მომუშავე ენთუზიასტები — ძეგლთა დაცვის გაერთიანების სტუდენტები თამაზ ლუდუშაური, კოტე გაბრიჩიძე, გიორგი მაღლაკელიძე და სხვები.

საზოგადოებრიობის დაუხმარებლად, რა თქმა უნდა, ძნელი იქნება ძეგლთა რესტავრაციის ესოდენ დიდი მოცულობის სამუშაოთა დაძლევა, — თქვა არქიტექტორთა სამეცნიერო-საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელმა თეიმურაზ აბრამიშვილმა. — კომპლექსის წინასწარმა შესწავლამ კი ცხადყო, რომ ზოგიერთი ობიექტის რესტავრაციის დროს მეტად რთულ პირობებში მოგვიწევს მუშაობა. მაგალითად, უდაბნოს მონასტერში შესასვლელად უნდა გადავლახოთ ციცაბო ფერდობი, რომლის ძირში დავითის ლავრაა. აქ რაიმე მიწის სამუშაოების შესრულება გამორიცხულია, რადგან ეს საფრთხეს შეუქმნის ძეგლს და ლანდშაფტი დაკარგავს თავის პირველქმნილ სახეს. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ ავაშენოთ დროებითი სატვირთო საბაგირო გზა, რომლითაც შეიძლება საშენი მასალების ტრანსპორტირება.

სხვათა შორის, აქ მოხსენიებული ციცაბო სტუდენტებისა და მუზეუმის თანამშრომლების თანხლებით ერთი ამოსუნთქვით გაიარა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ, გენერალ-მაიორმა კ. ჩერეპანოვმა. ცნობისმოყვარეობისათვის არ უქნია ეს მას. იგი სხვა რამეზე ფიქრობდა, როცა ბილიკზე მიაბიჯებდა.

— ჩვენ, ახლანდელმა თაობამ, — უთხრა გენერალმა თავის ახალგაზრდა გიდებს, — უნდა ვიფიქროთ რამდენიმე საუკუნით ადრე იმაზე, ვინ მოვა ჩვენს შემდეგ. ამიტომ ჩვენი ამოცანაა არა მარტო დავიცვათ, არამედ შევინარჩუნოთ ჩვენამდე მოღწეული წინანდელ ეპოქათა მემკვიდრეობა და ამით ხორცი შევასხათ პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ლენინურ იდეებს.

გარეჯის ქედის ფერდობები სავსეა კულტურის ძეგლებით, თანაც ბევრი მათგანი ქართული ხუროთმოძღვრების შედევრია. რამდენად შეეხება მათ რესტავრაციის დასახული პროგრამა? — ჰკითხეს სტუდენტებმა თეიმურაზ აბრამიშვილს იმპროვიზებულ პრესკონფერენციაზე, ხანმოკლე შესვენების დროს.

— ჯერჯერობით მიმდინარეობს ყველა გეგმის დეტალური შესწავლა. პროექტი, რომელსაც ვამუშავებთ, ფაქტობრივად უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო ყველა ობიექტის აღდგენას, არამედ ამ რეგიონში შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის მქონე ეროვნული პარკის შექმნასაც. ჯერჯერობით კი დამთავრებულია მხოლოდ უდაბნოს მონასტრის ამაღლების ეკლესიის პროექტის არქიტექტურული ნაწილი. წინ ხანგრძლივი და გულმოდგინე მუშაობა მოგველის.

ეს დიდი მუშაობა კი უკვე დაიწყო. ფრთხილად და რუდუნებით შრომობენ ოთხმოციანი წლების კომკავშირელები, ახალგაზრდობა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. მარგველაძის მეთაურობით. ერთად შრომობენ და ერთად ისადილეს ჯარისკაცებმა, სტუდენტებმა, ოფიცრებმა, კომკავშირულმა ხელმძღვანელებმა. სამუშაოს შემდეგ კი ყველანი გამოვიდნენ სტადიონზე და ითამაშეს ფეხბურთი.

თ. გრიგალაშვილი,
საქინფორმის სპეც. კორ.

სურათზე: სტუდენტები სარესტავრაციო სამუშაოებზე.
საქინფორმის ფოტო.

მემკვიდრეობა

ასე მაღალი, ასე ქართული!..

„კომუნისტმა" უკვე გააცნო მკითხველს, როგორ იქცა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მცხეთა ქართული არქეოლოგიის ნამდვილ დედაქალაქად, რა დიდი მეცნიერული ღირებულების შედეგები მოგვცა აქ ჩატარებულმა გათხრებმა, რომელთაც არა მხოლოდ საქართველოს ისტორიის ბევრ უცნობ ფურცელს მოჰფინეს ნათელი.

ამ წლებში არც „მიწისზედა" მცხეთას მოჰკლებია ჩვენი რესპუბლიკის მეხელურთა და მეცნიერთა ყურადღება. გამაგრდა და შეკეთდა მცხეთის ჯვარი, მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა სვეტიცხოვლის გასაწმენდად, მისი ადრინდელი ფენების გამოსავლენად; გაიწმინდა და აღდგენილია შესანიშნავი კარიბჭე, აღმოჩენილია ადრინდელ სამოქალაქო ნაგებობათა კვალი; გარედან გამოვლინდა სვეტიცხოვლის გალავნის თავდაპირველი სიმაღლე და პროპორციები; შეკეთდა სამთავისის უძველესი სამლოცველო; დიდი მუშაობა წარმოებს ბებრისციხის შეკეთება-მოწესრიგებისათვის, აქ იქმნება ახალი კულტურის კერა.

ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რა დიდია მცხეთის ძეგლთა მეცნიერული კვლევის მნიშვნელობა და გამოძახილი. კერძოდ, მცხეთის ჯვარი ის ძეგლია, რომელთანაც დაკავშირებულია მთელი ქრისტიანული კავკასიისა და, საერთოდ, „ქრისტიანული აღმოსავლეთის" ხუროთმოძღვრების ისტორიის ბევრი კარდინალური პრობლემა.

მცხეთა — შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი კერა — სწორედ ის ადგილია, სადაც ჩვენი ახალგაზრდობა (და არა მარტო ახალგაზრდობა!) შეიძლება ეზიაროს ეროვნული წარსულის ნამდვილ სიდიადეს. მის ნამდვილ კულტურულ-ისტორიულ ღირებულებას, ქართველი ერის დიდ მხატვრულ ნიჭსა და უნარს. როგორც უკვე ვთქვით, საამისოდ აქ სხვადასხვა ისტორიული საფეხურის ყველაზე დამახასიათებელი ნიმუშები მოგვეძევება.

შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრულ ძეგლთა რაოდენობით მცხეთას საქართველოს ვერც ერთი სხვა ქალაქი ვერ შეედრება. საითაც არ უნდა გაიხედო, აქ ყველგან ისტორიაა. თვით მცხეთას ხომ გვირგვინივით თავს ადგას გრანდიოზული სვეტიცხოველი — უდიდესი საეკლესიო ნაგებობა საქართველოსი; მთაზე, მტკვრისა და არაგვის შესართავთან, წამომართულია მცხეთის ჯვარი — ქართული ხელოვნების [illegible], VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილი; ჯვრის უკან, შორს, მაღალი მთის კეხზე, წარსულის კიდევ ერთი ნაშთი — VI საუკუნეში ერთ-ერთი ასურელი მამის იოანე ზედაზნელის მიერ დაარსებული ზედაზნის მონასტერია (ახლანდელი ეკლესია VIII საუკუნისაა); მცხეთისავე ფარგლებში, საქართველოს სამხედრო გზის მარცხნივ, სამთავროს საეპისკოპოსო ტაძარია, XI საუკუნის პირველ ნახევარში აგებული (მის გალავანშია მინიატიურული გუმბათოვანი სამლოცველო, რომელიც თავდაპირველი სახით ქართლის გაქრისტიანების პირველ ხანებს უკავშირდებოდა, და გვიანდელი შუა საუკუნეების დროინდელი სამრეკლო); იმავე გზის მარჯვნივ, ცოტა მოშორებით — შუა საუკუნეების სათავდაცვო ხუროთმოძღვრების ძეგლი „ბებრის ციხე"; ე. წ. „ანტიოქიის მეტოქი", VII-VIII საუკუნეების მცირე ეკლესია (ესეც არაგვისა და მტკვრის შესართავთან, არაგვის მარჯვენა ნაპირზე); მცხეთასთან ახლოა ქართული ქრისტიანობის კიდევ ერთი ცენტრი — შიო-მღვიმის მონასტერი, VI და XII საუკუნეების ტაძრებით, აგრეთვე კალოუბნის წმინდა გიორგის ეკლესია XII საუკუნის ფრესკებით; არის ბევრი სხვა, ნაკლებმნიშვნელოვანი ნაშთიც.

ვინაიდან ყველა ძეგლზე საუბარი შორს წაგვიყვანდა, მხოლოდ უმთავრესთ — ამჯერად მცხეთის ჯვარს, სვეტიცხოველსა და სამთავროს გამოვყოფთ.

ჯვარი

მცხეთის ჯვრის სახელწოდებას ისტორიული საფუძველი აქვს: ქრისტიანობის მიღების პირველ ხანებიდანვე, აქ, ღია ცის ქვეშ, განმარტოებით იყო აღმართული ხის მაღალი ჯვარი, რომელიც მცხეთის არემარეს თავს დაჰყურებდა და შორიდანაც ჩანდა. დედაქალაქის მკვიდრთ იგი ახალი, მათთვის ჯერ კიდევ იდუმალებით მოცული სარწმუნოების ყოვლისშემძლეობასა და უძლეველობას შთააგონებდა. მას თაყვანს სცემდნენ არა მარტო ქართველები, არამედ კავკასიის სხვა ქრისტიანი ერებიც, მათ შორის სომხებიც. ამ ჯვრის აღმართვის შესახებ არსებობს წერილობითი ცნობები ქართული და სომხური მატიანეებისა („ქართლის მოქცევა", მოსე ხორენელის სომხეთის ისტორია, და სხვ.). თუმცა ეს ტექსტები გადამუშავებული გამოძახილია რომის იმპერატორის კონსტანტინეს მიერ ჯვრების აღმართვის ამბისა, თვით ფაქტი უტყუარია — ჯვრის კვარცხლბეკი ეკლესიის შიგნით დღემდეა დარჩენილი.

ქრისტიანობის განმტკიცებასთან ერთად მატულობდა მლოცველთა რიცხვიც. VI საუკუნის მეორე ნახევარში (545-586 წლებს შუა) ქართლის ერისთავმა გუარამმა ჯვრის გვერდით ააშენა პატარა ეკლესია. ეს ორფერდა სახურავიანი მარტივი სწორკუთხედია, რომელსაც შიგნით ჯვარისებრი მოხაზულობა აქვს. იგი დგას საგანგებოდ ამოშენებულ ქვემო სართულზე, რომელშიც სამარხი იყო. შუაში ამ მცირე სამლოცველოს გუმბათისებრი გადახურვა უნდა ჰქონოდა, ყელის გარეშე (აღარ არის გადარჩენილი). ამ შენობას ჩვეულებრივ „მცირე ჯვარს" ვუწოდებთ.

იმავე VI საუკუნის მიწურულს და VII-ის დასაწყისში (586/87-604/605 წლებში) გუარამის ძემ სტეფანოზ ერისმთავარმა მცირე ტაძრის გვერდით აგო დიდი ტაძარი, რადგანაც მცირე სამლოცველო უკვე ველარ აკმაყოფილებდა მომრავლებულ მორწმუნეთა მოთხოვნილებას. დიდი ტაძარი ზედ „გადაეფარა" ხის ჯვარს. ახალ შენობას დამათარიღებელი სამშენებლო წარწერა არ გააჩნია, მაგრამ მისი აგების ქრონოლოგიური ფარგლების დადგენა მაინც მოხერხდა რელიეფებზე გამოსახულ პირთა (სტეფანოზისა, მისი ძმის დემეტრესა და მემკვიდრის ადრნერსეს) რელიეფებისა და წარწერების შეჯერებით სხვა ისტორიულ საბუთებთან. ძეგლმა თითქმის დაუზიანებლად მოაღწია დღემდე და მისი თავდაპირველი სახე შეუბღალავადაა შემორჩენილი.

თავისი მხატვრული ღირსებებით მცხეთის ჯვარი ქართული ხუროთმოძღვრების უმაღლეს ნიმუშებს მიეკუთვნება. უფრო მეტიც, იგი საერთოდ ქართული ეროვნული ხელოვნების ერთი მწვერვალთაგანია. იმავე დროს, დიდია მისი მნიშვნელობა ისტორიულ-ევოლუციური თვალსაზრისით — განვითარების მთელი საფეხურის დამამთავრებელია და ახალი ეტაპის დამფუძნებელი. ეკლესიის ის ტიპი, რომელსაც მცხეთის ჯვარი მიეკუთვნება (ე. წ. ტეტრაკონქი კუთხის ოთახებით), საქართველოშია შექმნილი კანონზომიერი ევოლუციის შედეგად. ამ მხრივ მცხეთის ჯვრის უშუალო წინამორბედია ნინოწმინდის ცნობილი საეპისკოპოსო ტაძარი გარე კახეთში (VI საუკუნისა). მცხეთის ჯვრის შემდეგ კი იმავე ტიპის ეკლესიები VII საუკუნის მანძილზე აშენდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — ძველ შუამთაში (კახეთში), ატენში (ქართლში, გორის მახლობლად), მარტვილში (დასავლ. საქართველო). თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინ საქართველო ჯერ კიდევ ერთიან სახელმწიფოს არ წარმოადგენდა, ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, იგი ბევრ სხვა ფაქტთან ერთად, თვალნათლივ მოწმობს საქართველოს სხვადასხვა კუთხის კულტურულ ერთიანობას ჯერ კიდევ იმ ადრინდელ ეტაპზე (აქვე შევნიშნავთ, რომ ანალოგიური ტიპი, განმასხვავებელი ეროვნული თავისებურებებით, შემუშავდა იმხანად სომხეთშიც).

ტეტრაკონქი ეწოდება ჯვარისებრ შენობას, რომელშიც ჯვრის ოთხივე მკლავი ბოლოებმომრგვალებულია. მცხეთის ჯვარში მკლავებ შორის თითო ოთახია ჩამატებული და ყველას თავისი დანიშნულება აქვს: საკურთხევლის ორ მხარეს სადიაკვნე და სამკვეთლოა, მღვდელმსახურთათვის საჭირო სათავსები; მესამე ოთახი, წარწერის თანახმად, ვინმე თემისტიას გაუკეთებინებია თავისი ხარჯით — ქალთა სადგომად. მეოთხე, უეჭველია, ტაძრის მაშენებელი ერისმთავრის ოჯახისთვის იყო განკუთვნილი. ეს ოთახები შუა გუმბათქვეშა სივრცეს უკავშირდება წრის 3/4-ის მოხაზულობის ნიშებით. ფართო გუმბათი ეყრდნობა უშუალოდ კედლებს, ე. წ. ტრომპების საშუალებით (ამ ტიპის ეკლესიებში ბოძები არ არის). შესასვლელი ორია — სამხრეთით და ჩრდილოეთით. შენობა ოდნავ წაგრძელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით; საკურთხეველი გამოყოფილია სამი სარკმლით. კედლების შიდა პირი თლილი ქვითაა მოპირკეთებული, ისევე, როგორც ფასადები. კედლები, გარდა საკურთხევლის კამარისა, სადაც მხატვრობა ან მოზაიკა შეიძლებოდა ყოფილიყო, იმ ადრინდელ ხანაში „ხელშეუხებლად" რჩებოდა, ყოველგვარი მორთულობის გარეშე.

ტაძარი არც ისე დიდია (მისი სიმაღლე ოდნავ აღემატება 20 მეტრს), მაგრამ შიგნით ყველას აოცებს მისი მონუმენტურობა; მისი მშვიდი, დინჯი პროპორციები, ერთადერთი გუმბათით დაგვირგვინებული სივრცის ყველა ნაწილის ორგანული ურთიერთშეხამება, ფორმათა დახვეწილობა, მკაცრი სიმარტივე გასაოცარი ჰარმონიულობისა და დიდებულების შთაბეჭდილებას სტოვებს.

შენობის გარეგნობა შეესაბამება მის შიგა დანაწევრებას. მის ბირთვს (კვანძს) შეადგენს გუმბათქვეშა მოცულობა — მას ადგია ფართო რვაწახნაგა გუმბათისყელი, გადახურული ნახევარსფეროს მსგავსად (ეს გამონაკლისია საქართველოში, სადაც პირამიდისებრი სახურავები იყო გავრცელებული); ამავე მოცულობიდან „აღმოცენდება" ოთხ მხარეს მიმართული მკლავები, რომლებიც ფასადის მხრივ წახნაგოვან შვერილებს ჰქმნის. ამ მკლავებშუა მოქცეული კუთხის ოთახები უფრო დაბალია. იქმნება ზედმიწევნით ნათლად დანაწევრებული, მკაფიოდ „შემოხაზული" ფორმების მქონე, მოცულობა — ეს ნათელი სტრუქტურულობა, „სტერეომეტრიულობა" საერთოდ დამახასიათებელი იქნება შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო არქიტექტურისათვის.

მცხეთის ჯვარი პირველი ქართული ძეგლია, რომლის ხუროთმოძღვარი (სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობი) შეგნებულად ისახავს მხატვრულად გააზრებული ფასადის შექმნის ამოცანას. ეს საგულისხმო რამ არის: იმავე ეპოქის ბიზანტიაში ეს ამოცანა ჯერ კიდევ არ ისმოდა: კონსტანტინეპოლის წმ. სოფიის ტაძარს, ეპოქის უშესანიშნავეს ძეგლს, ფაქტობრივად ფასადები არცა აქვს — არის მხოლოდ ფორმათა და მასების ამორფული დახვავება. ეს ერთი იმ ნიშანთაგანია, მრავალ სხვა ნიშანთან ერთად, რომელიც ამ ორი ქვეყნის ხუროთმოძღვრებას პრინციპულად განასხვავებს ერთმანეთისაგან.

მცხეთის ჯვრის ფასადები დიფერენცირებულია ადგილმდებარეობასთან შესაბამისად: დასავლეთის ფასადი ზედ შვეული კლდის პირზეა და მიუდგომელია — მხოლოდ შორიდან ჩანს და ამიტომ ყოველგვარი მორთულობის გარეშეა დატოვებული. ჩრდილოეთი ფასადი „მცირე ჯვარს" ებჯინება — ისიც მოურთავია. სამაგიეროდ აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადების დამუშავება ღრმადაა გააზრებული. მთავარი აღმოსავლეთის ფასადია. პირველ შეხედვისთანავე თვალს ხვდება ძალზე მკაფიო, ადვილად აღსაქმელი, რიტმული დანაწევრება: შუა, უფრო მაღალი, შვერილი ნაწილი, მცირე სიღრმის ნიშები მის ორსავე მხარეს, რომლებიც მას გამოჰყოფენ გვერდის ფრთებისაგან; სამი სარკმელი შუა შვერილზე, თითოც — განაპირა ფრთებზე; სარკმლების თავზე — მათი გამაერთიანებელი რელიეფური ზოლი, რომელიც თაღების სახით ევლება თავს სარკმლებს; შუა სარკმლების ზემოთ, საგანგებო ჩარჩოებში, სურათებივით, ტაძრის მაშენებელ ერისმთავართა ხსენებული რელიეფური გამოსახულებებია (ასომთავრული წარწერებითურთ) — თავისებური ტრიპტიქონი, ორგანულად დაკავშირებული სარკმლებთან და მთელი ფასადის კომპოზიციასთან; რელიეფურ თაღებზე მსუბუქი ორნამენტული სახეებია; სხვა არაფერი — მხოლოდ მშვენივრად გათლილი ქვით აწყობილი კედლის ფართო, მძლავრი ზედაპირი. სამხრეთით მთავარი მხატვრული მახვილია ანგელოზების მიერ ჯვრის ამაღლების რელიეფური გამოსახულება შესასვლელის თავზე ნახევარწრიულ არეში. საქრისტიანოში ფართოდ გავრცელებული თემა ქართველმა ოსტატმა მარჯვედ დაუქვემდებარა საკუთარ ამოცანას და ბუნებრივად ჩართო მოცემულ ხუროთმოძღვრულ არეში.

შენობის გარეგნობა არანაკლებ ჰარმონიული და მონუმენტურია, ვიდრე შიდა სივრცე. ამ დროისთვის დამახასიათებელია მორთულობის სიძუნწე, საერთო იერის სიმკაცრე; ყველაფერი, მთელიც და ნაწილებიც, ზომიერების გრძნობის მაჩვენებელია. არ შეიძლება მაყურებელი არ მოხიბლოს მთელი ხუროთმოძღვრული ნაგებობის ურყევმა შინაგანმა ლოგიკამ: ყველა ნაწილი ისეა შეკრული და ურთიერთშეპირობებული, თითქოს მთელი ნაგებობა ერთიანი კრისტალი იყოს, რომელშიც არც ერთი წერტილის, არც ერთი ხაზის შეცვლა და გადანაცვლება არ შეიძლება. დასასრულ, განსაკუთრებით ამაღლევებელ შთაბეჭდილებას სტოვებს მცხეთის ჯვრის შერწყმა გარემოსთან, მთასთან, რომელთანაც იგი შეზრდილია, როგორც მისი ორგანული, აუცილებელი ნაწილი, შერწყმულია თავისი მასშტაბითაც და მოხაზულობითაც — თითქოს მთა და ტაძარი ერთად წარმოიქმნენო. ეს თვალსაჩინო მაგალითია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ნიშანდობლივი თვისებისა — არქიტექტურისა და ბუნების განუყოფლობისა.

სვეტიცხოველი

ტაძარი შუაგულ მცხეთაშია აღმართული. მის გარშემო არსებული დაბალი განაშენიანება განსაკუთრებით უსვამს ხაზს მის მასშტაბსა და დიდებულებას. სახელწოდება უძველეს ლეგენდას უკავშირდება. ამ ადგილას თითქოს დაკრძალული ყოფილა მცხეთელი ქალი სიდონია, რომელიც დაუმარხავთ მისი ძმის ელიოზის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილ ქრისტეს პერანგთან („უფლის კვართთან") ერთად (სიდონია უკვე ქრისტეს მიმდევარი იყო). მის საფლავზე უზარმაზარი ხე-ნაძვი თუ ლიბანის კედარი ამოსულა. როცა მირიან მეფემ ქრისტიანობა აღიარა ნინოს ქადაგების შემდეგ, ნინოსავე მითითებით პირველი ეკლესიის ადგილად სიდონიას საფლავი აურჩევიათ. „მოჰკვეთეს ნაძვი იგი" და გამოთალეს „შვიდნი სვეტნი ეკლესიისანი". ერთი მათგანი სასწაულმოქმედი აღმოჩნდა, იგი ჰაერში ჩამოეკიდა და მშენებლებმა „არა თუ აღმართებად ოდენ ვერ შეუძლეს, არამედ შეძრვადცა და უქმ იქმნა ყოველი სიბრძნეი და ღონისძიებაი კაცთაი". მხოლოდ მას შემდეგ, რაც წმინდა ნინომ მთელი ღამე ილოცა, სვეტი „მოეახლა ხარისხსა მას თვისსა... და დადგა ზედა ხარისხსა მას" (ხარისხი ბაზისს ნიშნავს). ეს სვეტი გამოსცემდა მირონს და ყველანი, ვინც კი აქ მოვიდოდნენ „სენთაგან შეპყრობილნი, მსწრაფლ განკურნებულნი წარვიდოდეს სახიდ თვისად" (ე. ი. თავის სახლში). ეს იყო სწორედ „სვეტიცხოველი", სვეტი — სიცოცხლის მომნიჭებელი, რომლის სახელიც ეწოდა ტაძარს (ქართლის გაქრისტიანებისა და ამ სასწაულების ამბავი მოთხრობილია „ქართლის ცხოვრების" მატიანეში და „წმინდა ნინოს ცხოვრებაში", სხვა ქართულ, ბერძნულ და რომაულ წყაროებში).

ეს ეკლესია ხისა იყო, მცირე ზომისა (მისი ნაკვალევი გამოჩნდა სვეტიცხოვლის არქეოლოგიური გაწმენდა-შესწავლის დროს); V საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასალმა მის ნაცვლად ახალი დიდი ეკლესია აგო. ეს იყო ქვის ბაზილიკა (ჯუანშერი, „ცხოვრება მეფის ვახტანგისა": „ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა სვეტიცხოველი"). ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩატარებული მუშაობის წყალობით (ხელმძღვანელი ვახტანგ ცინცაძე) გამოვლინდა ამ ეკლესიის კონტურები და ძველი ბაზისები. V საუკუნის ძეგლს ეკუთვნის ორი რელიეფური ხარის თავიც ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, დიდი სარკმლის ქვემოთ. როგორც ჩანს, ტაძარმა ამის შემდეგაც განიცადა ზოგი ცვლილება.

დღევანდელი სვეტიცხოველი, როგორც ტაძრის წარწერითა და სხვა საბუთების შეჯერებით დადგინდა (ნ. ბერძენიშვილი, ლ. მუსხელიშვილი), ქართლის კათალიკოსის მოთავეობით ააშენა ხუროთმოძღვარმა არსუკისძემ 1010-1029 წლებში. ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, შუა თაღის ქვეშ, ადვილი შესამჩნევია ქვაში ამოკვეთილი 12 დისკო შემდეგი ასომთავრული წარწერით: „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედევ ქართლისა კათალიკოზი, ამენ. აღეშენა ესე წმიდაი ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისაითა, ღმერთმან განუსვენე სულსა მისსა". არსუკისძე ტაძრის დამთავრებისას ცოცხალი აღარ ყოფილა, რაკი მისი სულისათვის განსვენებას თხოულობენ. მისი სახელი ჩრდილოეთის ფასადზედაც გვხვდება. იქ რელიეფურადაა გამოკვეთილი ხელი, რომელსაც გონიო უჭირავს, მის გვერდით კი წარწერაა: „ხელი მონისა არსუკისძისაი, შეუნდვეთ". ამ გამოსახულებამ წარმოშვა ცნობილი ლეგენდა იმის შესახებ, რომ სვეტიცხოვლის მშენებელს, რომელმაც ოსტატს აჯობა, ხელი მოჰკვეთეს. (ამ წარწერების შესახებ ბევრ ქართველ მეცნიერს აქვს გამოქვეყნებული ნარკვევები. წინათ ხუროთმოძღვრის სახელს „არსაკიძედ" კითხულობდნენ, ხოლო ჩრდილოეთის კედლის წარწერა ასეც იყო წაკითხული: „ხელი მონისა არს კონსტანტინესი, რათა შეუნდოთ"). წარწერებს, გარდა იმისა, რომ საყურადღებო ინფორმაციას შეიცავენ, სხვა მნიშვნელობაც აქვთ: ჩვენში ძალიან ცოტა ხუროთმოძღვრის სახელია შემორჩენილი. აქ კი ჩვენ ხელთაა შუა საუკუნეების უდიდესი ქართული ტაძრის ავტორის სახელი — არსუკისძე კი შეგვიძლია მივიჩნიოთ ძველი საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს ხელოვანად. ხუროთმოძღვრის სოციალური მდგომარეობის წარმოსადგენად მნიშვნელოვანია ისიც, რომ მისი სახელი ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზეა მოხსენიებული, თანაც თვით კათალიკოსის სახელთან ერთად. ტაძრის თანამედროვეა მისი გალავნის საზეიმო კარიბჭეც.

დროთა განმავლობაში სვეტიცხოველს ბევრი რამ გადახდა. თითქმის ყველა უბედურება, რაც კი საქართველოს დაატყდებოდა თავს, თავის კვალს ამჩნევდა სვეტიცხოველს, XIII საუკუნის დასასრულს კი მიწისძვრამაც დააზიანა; აღდგენილი ტაძარი XIV საუკუნის ბოლოს კიდევ უფრო შელახა თემურლენგმა, რომელმაც „ბილწითა ხელითა... ხელჰყო დარღვევად და მოოხრებად სვეტისა ცხოველისა შინაგან და გარეთ ზღუდენი და პალატნი. და ყოველივე შენობანი სრულიად ივარ ჰყვეს სპათა ლანგთემურისათა" („ქართლის ცხოვრების" პირველი გაგრძელება). მაშინ ჩამოქცეულა შიგნით დასავლეთის მხარე, გუმბათქვეშა ბოძი და თვით გუმბათიც. შემოუძარცვავთ ფასადების პერანგის ნაწილიც. ტაძარი XV საუკუნის პირველ ნახევარში, ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის ალექსანდრე პირველის დროს აღადგინეს. საამისოდ მეფეს საგანგებო დროებითი გადასახადის დაწესებაც კი მოუხდა, რაკი ამდენი გადატანილი უბედურების შემდეგ სახელმწიფო სალარო დაცარიელებული იყო. ტაძრის განახლება, რომელიც მოწმობს, რომ მიუხედავად საერთო დაქვეითებისა, სამშენებლო ხელოვნების ტრადიციები საქართველოში მაინც გრძელდებოდა, 1431 წელს დასრულდა. 1656 წელს გუმბათის სფერო ჩამოიქცა და იგი როსტომ მეფემ და მარიამ დედოფალმა აღადგინეს.

ტაძარი შეაკეთეს XVII საუკუნეშიც, კათალიკოს ნიკოლოზ ამილახვრის დროს. XVIII საუკუნეს, ერეკლე მეორის მეფობის ხანას მიეკუთვნება ახლანდელი გალავნის უდიდესი ნაწილი, თუმცა ზოგი რამ XIX საუკუნეშიც არის ჩართული. გალავნისავე ხაზშია, ან მის გვერდით, ადრინდელი სასახლის ნაშთებიც. XIX საუკუნეში კი რუსულმა საეკლესიო ხელისუფლებამ, კითომ ტაძრის მოწესრიგება-კეთილმოწყობის მიზნით, ააფეთქებინა სამლოცველო-საძვალეები, სხვადასხვა დროს რომ მიაშენეს ტაძარს და მისი ცოცხალი ისტორიის ფურცლებს შეადგენდნენ; შიდა მოხატულობის დიდი ნაწილი შელესეს, ზოგი რამ კი ისე აღადგინეს, რომ დაუკარგეს ძველებური იერი. ეს კია, რომ ძველი მხატვრობის უდიდესი ნაწილი უკვე მაშინაც განადგურებული იყო, რაც ახლა არის გადარჩენილი, უმეტესად XVI-XVII საუკუნეებისაა.

საუკუნეთა მანძილზე საქართველოს მეფენი და კათალიკოსნი განსაკუთრებით ზრუნავდნენ სვეტიცხოვლისათვის. მას უამრავი მამული ჰქონდა — სვეტიცხოვლის ეკლესია ერთი უმძლავრესი ფეოდალთაგანი იყო შუა საუკუნეებში. იმავე დროს, ეს იყო სრულიად საქართველოს სალოცავი, ტაძარი, რომელსაც ზოგადეროვნული, ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

სვეტიცხოველი აგებულია საქართველოს კულტურისა და ხელოვნების დიდ ეპოქაში, როცა ქვეყანა ძალას იკრებდა საბოლოო გაერთიანებისთვის. ეს იყო ეროვნული მშენებლობის, შემოქმედებითი აღმაფრენის ხანა, რომელმაც ხელოვნებისა და კულტურის ყველა დარგს ღრმა კვალი დაამჩნია.

ეს შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მეორე აყვავების ხანაა, რომელიც მოიცავს დროს X საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII საუკუნის პირველ ნახევრამდე. სვეტიცხოველი ქუთაისის ბაგრატის ტაძართან, ალავერდის, სამთავისის, ოშკის, ხახულის, იშხნის, მანგლისის და სამთავროს ტაძრებთან ერთად (ბევრი სხვა ძეგლიც შეიძლება მოვიხსენიოთ), ამ აყვავების ხანის დამახასიათებელი და ერთი ფუძემდებელი ძეგლთაგანია ამდროინდელი სტილისა. ადრინდელ ძეგლებთან (თუნდაც მხოლოდ მცხეთის ჯვართან) შედარება ნათელჰყოფს განვითარებისა და მომხდარი ცვლილებების ხასიათს, მიმართულებას. რომ არაფერი ვთქვათ მასშტაბზე (ახლანდელი ძეგლების უმეტესობა ბევრად აღემატება ადრინდელთ), შეიცვალა პროპორციები — შენობა უფრო აზიდული და ატყორცნილი გახდა, გართულდა მისი აღნაგობა, დიდი ადგილი დაეთმო ფასადთა მორთულობას — დეკორატიულ თაღედს, ქვაზე ნაკვეთ უმდიდრეს ჩუქურთმას კარ-სარკმელთა გარშემო, კარნიზებზე, ფასადებზე გაჩნდა პოლიქრომიაც — ძირითად ფერში „ჩაპკურებულია" სხვა ფერის ქვები და სამკაულები; შიგნით კედელ-კამარები ერთიანად იხატებოდა. წინანდელმა სიმკაცრემ, თავშეკავებულობამ, მშვიდმა წონასწორობამ ადგილი დაუთმო მეტ ცხოველხატულობას, დინამიზმს, დეკორატიულობას. მაგრამ ამით ოდნავაც არ შელახულა ქართული ტაძრების ნათელი და ლოგიკური სტრუქტურა, ტექტონიკურობა. ყველა ეს ნიშანი ახასიათებს სვეტიცხოველსაც, რომლის ნათელი, საფეხურებად აღმართული სხეული იშვიათი მონუმენტურობით გამოირჩევა; აღმოსავლეთის ფასადის დამუშავების ფორმულა კი — ხუთი დეკორატიული თაღის ზრდადი რიტმითა და ორი ღრმა ნიშით — კანონიკურია ამ დროისთვის. შიგნით სვეტიცხოვლის სივრცე — მძლავრი გუმბათქვეშა ბურჯებითა და ატყორცნილი გუმბათით, უძლიერეს შთაბეჭდილებას ტოვებს.

ძეგლის მნახველმა უნდა იცოდეს შემდეგი: ახლანდელი გუმბათისყელი XV საუკუნისაა, ალექსანდრე მეფის დროინდელი. მისი ზომა და პროპორციები, ალბათ, მეტ-ნაკლები სიზუსტით იმეორებს თავდაპირველ გუმბათისყელს, მაგრამ სარკმელთა ჩუქურთმები თავისი დროის კვალს ატარებს — მშრალი და დაწვრილმანებულია, ვერ შეედრება ძველი ნაწილების ჩუქურთმებს, რომლებიც განსაკუთრებული პლასტიკურობითა და შესრულების ვირტუოზულობით გამოირჩევა, ფასადთა პერანგის ნაწილი (რაც მწვანე ქვითაა ნაწყობი) აგრეთვე XV საუკუნის რესტავრაციის დროინდელია; ზოგი რელიეფური გამოსახულებაც მაშინ გადააადგილეს (მაგალითად, აღმოსავლეთის ფასადზე); შიგნით დასავლეთის ნაწილს საგრძნობლად შეეცვალა სახე იმავე XV საუკუნეში: თავდაპირველად დასავლეთის მხარეს სამმხრივი პატრონიკე (მეორე სართულის გალერეა) და თაღების სხვაგვარი რიტმი იყო; სამხრეთის მხარეს რომ ქვის პატარა სამლოცველოა, ეს თითქოს იერუსალიმის ტაძრის გამოსახულებაა და XIV-XV საუკუნეებზე ადრინდელი არ უნდა იყოს; გუმბათის მახლობლად რომ კოშკურა ნაგებობაა — ეს არის საკუთრივ „სვეტიცხოველი": გადმოცემით, მის შიგნით ინახებოდა სასწაულმოქმედი სვეტის ნაწილები; ნამდვილად, ეს კოშკი XVII საუკუნეში უნდა იყოს აშენებული, მისი მოხატულობა კი, რომელიც ქართლის „მოქცევის" ამბებს მოგვითხრობს, იმავე საუკუნის დასასრულისაა. მოხატვას ხელმძღვანელობდა „მოქალაქე გრიგოლ გულჯავარასშვილი" (წარწერის თანახმად); სამხრეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯზე, საკურთხევლისკენ მიმართულ პირზე, დახატულნი არიან XVII საუკუნის ისტორიული პირნი: ქართლის დედოფალი, დადიანის ასული მარიამი, შესანიშნავი ქველმოქმედი, და მისი ძე ოტია, რომელიც ნა-



დირობის დროს შემთხვევით მოკლეს. მარიამი იქვეა დაკრძალული, ამ სურათის წინ; გარდა ვახტანგ გორგასლისა, ერეკლესი და გიორგი მეთორმეტისა (მათი საფლავები, ახალი საფლავის ქვებით, საკურთხევლის წინაა), სვეტიცხოველში დაკრძალულია ბაგრატიონთა გვარის ბევრი სხვა წარმომადგენელიც, მათ შორის სამეფო ოჯახის წევრებიც.

სვეტიცხოვლის გალავანში იმართებოდა ძველთაგანვე სახალხო დღესასწაული „მცხეთობა", ყოველწლიურად 14 ოქტომბერს. თვით სვეტიცხოველი დღესაც მოქმედი ეკლესიაა, იმავე დროს, დაცულია, როგორც კულტურის შესანიშნავი ძეგლი.

გალავნის ძველი კარიბჭე (ამჟამად რესტავრირებული) XI საუკუნის ქართული საერო ხუროთმოძღვრების საინტერესო ნიმუშია, მის წარწერაშიც მშენებლობის მოთავედ მელქიზედეკ კათალიკოსი იხსენიება.

სამთავრო

სამთავროს საეპისკოპოსო ტაძარი სვეტიცხოვლის თანამედროვეა და XI საუკუნის პირველი ნახევრისაა. სტილის მხრივაც იმავე საფეხურის ძეგლია, მაგრამ კონკრეტული დამუშავებით განსხვავებული და ზომითაც საგრძნობლად მცირე. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ფასადთა კონტრასტული დამუშავება: აღმოსავლეთის ფასადი (ესეც ხუთი დეკორატიული თაღითა და ორი ნიშით) სვეტიცხოვლის ფორმულის მსგავსია, მორთულობის მხრივ ზომიერი; ძუნწად არის მორთული დასავლეთის ფასადიც. სამაგიეროდ, სამხრეთითა და ჩრდილოეთით ხუროთმოძღვარი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე წარმოგვიდგენს თავის მდიდარ ფანტაზიას და დიდ პროფესიულ ოსტატობას: შეწყვილებული სარკმლების გარშემო გადაშლილია ორიგინალური ორნამენტული კომპოზიციები — პლასტიკური, ძლიერ დინამიკური და არაჩვეულებრივი სიფაქიზით შესრულებული. გუმბათისყელი აღდგენილია XIII-XIV საუკუნეებში, მისი სარკმლების ტლანქი ჩუქურთმები მკვეთრად გამოირჩევა ძირითადი ნაწილის მორთულობისაგან. ტაძრის შიგნით ძალიან თვალსაჩინოა XIX საუკუნის შეკეთებათა კვალი. საკურთხეველში გადარჩენილია XVI-XVII საუკუნეთა მხატვრობის ფრაგმენტები. გადმოცემის თანახმად, დასავლეთის კედელთან დაკრძალულნი არიან პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი და მისი მეუღლე ნანა. მათი საფლავის ძეგლები ახალი დროისაა.

სამრეკლო, რომელიც ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან დგას, დათარიღებული არ არის. თავისი აგებულებით (კოშკისებრ ამაღლებული ქვედა კვადრატული ნაწილი, გამჭოლი ფანჩატური მესამე სართულის დონეზე) იგი უკვე სცილდება ადრინდელ XIII-XIV საუკუნეთა) სამრეკლოების ტიპს და უფრო გვიანდელი უნდა იყოს.

დღეს მცხეთა, ყოველი ქართველისთვის წმინდა ადგილი, საქართველოს გმირული წარსულის, მის უბედობათა და მისი მუდმივი განახლების სიმბოლო, ქალაქ-ნაკრძალადაა გამოცხადებული.

მცხეთა ყველას გვიყვარს. ვერც წარმომიდგენია ქართველი კაცი, მცხეთაში სიამაყის გრძნობით არ აღივსოს. და ეს სავსებით კანონიერი სიამაყეა, მაგრამ მარტო სიყვარული და ემოციები არ კმარა: ყველანი უფრო საფუძვლიანად უნდა ვიცნობდეთ ჩვენს ეროვნულ მხატვრულ საუნჯეს, წარსულის ძეგლებს და, მათ შორის, რა თქმა უნდა, მცხეთის ტაძრებს; უნდა ვიცოდეთ მათი აგების თარიღი და ვითარება, მათი ისტორიული ბედ-იღბალი, მხატვრული თავისებურება და ღირებულება; ჩვენს პატრიოტულ გრძნობებს სათანადო ცოდნა უნდა ედოს მტკიცე საფუძვლად.

ძეგლებისადმი ასეთი დამოკიდებულება, მათდამი მოკრძალების გრძნობის ჩანერგვა ახალგაზრდებში — დიდ ზნეობრივ მნიშვნელობას იძენს. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიული მხატვრული მემკვიდრეობის შესწავლა და დაფასება არა წარსულისაკენ, არამედ მომავლისაკენ მზერა და მისთვის ზრუნვაა. ხოლო თვით ძეგლებისათვის ზრუნვა ყოველი მოქალაქის წმინდა მოვალეობაა, ეს ჩვენი ეროვნული ღირსების საქმეა.

ვახტანგ ბერიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
18 აპრილი

● ნიკარაგუა

მთავრობის წინადადებები

მანაგუა. ნიკარაგუის მთავრობამ შეიარაღებული კონტრრევოლუციის ხელმძღვანელობასთან აქ მიმდინარე უშუალო მოლაპარაკებაზე წარადგინა წინადადებები ქვეყანაში ცეცხლის საბოლოო შეწყვეტისა და მტკიცე მშვიდობის მიღწევის შესახებ საპოაში ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად. კონტრასების დელეგაცია იძულებული იყო რამდენიმე საათით შეეწყვიტა სხდომა ეროვნული ხელმძღვანელობის წინადადებების ყურადღებით შესასწავლად.

როგორც კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე ნიკარაგუის დელეგაციის მეთაურმა, თავდაცვის მინისტრმა უმბერტო ორტეგამ განაცხადა, მთავრობის სამშვიდობო ინიციატივები მიზნად ისახავენ, პირველ რიგში, საპოაში მხარეებს შორის წარმოქმნილი უთანხმოებების დაძლევას. მთავრობა მზად არის ამ საკითხების ურთიერთმისაღები გადაწყვეტისათვის, რომლებსაც მოჰყვებოდა ქვეყანაში მშვიდობის რაც შეიძლება მალე დამყარება, აღნიშნა მინისტრმა. მთავრობამ შესთავაზა კონტრასებს იარაღთან და ტექნიკასთან ერთად ფორმირებების თავმოყრა დაამთავრონ 15 მაისამდე და ამა წლის 1 ივნისიდან დაიწყონ მათი მშვიდობიან ცხოვრებაში მონაწილეობის პროცესი.

● ლიბია

დაგმეს ტერორიზმი

ტრიპოლი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკა გულისწყრომით დაგმეს ლიბიის ქალაქ ჯამაჰირიაში გამართულ ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე. წარმომადგენლობით შეხვედრაში, რომელიც დაუკავშირეს ლიბიაზე ამერიკის შეერთებული შტატების თავდასხმის მეორე წლისთავს, და რომელიც მოაწყო ხმელთაშუა ზღვის სოციალისტური და პროგრესული პარტიების ორგანიზაციის მუდმივმა სამდივნომ, მონაწილეობდნენ მსოფლიოს 25 ქვეყნის მეცნიერები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ჟურნალისტები.

ამერიკის შეერთებული შტატები, აღინიშნა სიმპოზიუმზე, რომელიც ცდილობს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს საკუთარ დანაშაულებრივ მოქმედებას, ესწრაფვის ტერორისტების იარლიყი ჩამოჰკიდოს ყველას, ვინც იბრძვის ეროვნული განთავისუფლებისათვის, იცავს თავის დამოუკიდებლობას. ტრიპოლის შეხვედრის მონაწილეთა მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საჭიროა გაიყვანონ ხმელთაშუა ზღვიდან უცხოური ფლოტები და გადააქციონ იგი მშვიდობის, ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონად, სადაც არ იქნება უცხოეთის ბაზები.

ფაქტის კომენტარი

ხელშემწყობი წანამძღვრები

რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოწესრიგდეს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი — ქვეყნად ყველაზე ძველი და აფეთქებასაშიში, — ასეთი დასკვნა გამოაქვს საერთაშორისო საზოგადოებრიობას, რომელიც აანალიზებს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას და ამ მდგომარეობასთან დაკავშირებულ დიპლომატიურ საქმიანობას.

გასულ კვირაში ორმა ამბავმა მიიპყრო მისი საგანგებო ყურადღება. 11 აპრილს სპარსეთის ყურის ქვეყნებში მოგზაურობა დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სპეციალურმა მისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის გ. ს. ტერაზევიჩის მეთაურობით. 12 აპრილს კი კუვეიტში მუშაობა დაამთავრა ისლამის კონფერენციის ორგანიზაციის სამდივნოს სხდომამ. საბჭოთა პარლამენტარებმა და მათმა თანამოსაუბრეებმა, აგრეთვე ისლამის კონფერენციის ორგანიზაციის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა განაცხადეს, რომ ამ ბოლო დროს სულ უფრო ხელშემწყობი წანამძღვრები იქმნება ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგებისათვის.

კრიზისის დაძლევის პერსპექტივები განიხილეს გამართულ შეხვედრებზე თანამედროვე მსოფლიო განვითარების ფართო პოზიციებიდან ახალი აზროვნების შესაბამისად, რომელიც სულ უფრო მეტად აღწევს პოლიტიკურ ცხოვრებასა და პრაქტიკაში. ხაზგასმით აღინიშნა, კერძოდ, რომ ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე სახალხო აჯანყებამ შექმნა თვისებრივად ახალი სიტუაცია არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის ფარგლებში. უწინდელი მდგომარეობა ვეღარ გაგრძელდება. ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგების პრობლემა, მისი ძირითადი—პალესტინის—საკითხი უნდა გადაიჭრას, თანაც დაუყოვნებლივ. ისლამის კონფერენციის ორგანიზაციის მიერ მიღებული განცხადება მტკიცედ მოითხოვს, რომ ისრაელმა მთლიანად გაიყვანოს ჯარები ყველა მიტაცებული არაბული ტერიტორიიდან, აღადგინონ პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევისა და საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის განუყოფელი უფლებები. დადასტურდა აგრეთვე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის — პალესტინელი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენლის — როლი. კუვეიტის შეხვედრის მონაწილეებმა მოითხოვეს მოიწვიონ საერთაშორისო კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, რათა მიაღწიონ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მშვიდობიან, სამართლიან და ურთიერთმისაღებ მოწესრიგებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მიერ სპარსეთის ყურის ქვეყნებში გამართულმა საუბრებმა დაადასტურა, რომ ეს ქვეყნები სულ უფრო მზარდი წუხილით და შეშფოთებით ეკიდებიან ირან-ერაყის ომს, რომელიც უკვე მერვე წელია გრძელდება. საუბრების მონაწილეებმა გამოთქვეს საერთო აზრი, რომ მისი შეწყვეტის ღონისძიებებში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციის ფარგლებში უნდა შემუშავდეს შემდგომი ღონისძიებანი, რათა სრული მოცულობით განხორციელდეს უშიშროების საბჭოს 589-ე რეზოლუცია. მხარი დაუჭირეს აგრეთვე საბჭოთა წინადადებას, რომ ყურიდან გაიყვანონ უცხოეთის სახელმწიფოთა სამხედრო ფლოტები და შეიცვალონ ისინი საერთაშორისო სამხედრო-საზღვაო ძალებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გადაწყვეტისადმი მიდგომაში მტკიცდება იმათი პოზიციები, ვისაც მიაჩნია: არა შეიარაღებულ ძალაზე დაყრდნობა, არამედ მოლაპარაკება, არა კარჩაკეტილობისკენ მისწრაფება, არამედ თანასწორუფლებიანი და საქმიანი დიალოგი — აი, რა უნდა დაედოს საფუძვლად ნამდვილ მოწესრიგებას.

პრესა ადასტურებს

აქტიური სამხედრო მზადება

ვაშინგტონი. ვაშინგტონი აძლიერებს სამხედრო მზადებას პანამაში. ზედმეტი ხმაურის გარეშე შეერთებულმა შტატებმა აამოქმედა ეგრეთ წოდებული პანამის გაერთიანებული საბრძოლო შენაერთის სპეციალური შტაბი.

როგორც გაზეთი „ბალტიმორ სანი" იუწყება, ამ შენაერთის შტაბი ყოველმხრივ მზად არის ნებისმიერ დროს დაიწყოს მოქმედება. ძირითადად მისი ამოცანაა საბრძოლო ოპერაციების შემთხვევაში უხელმძღვანელოს ამერიკის ჯარების მოქმედებას.

გაზეთი აღნიშნავს, რომ პანამის გაერთიანებული საბრძოლო შენაერთის სარდლობა დაკისრებული აქვს გენერალ-მაიორ ბერნარდ ლეფკეს, რომელიც მეთაურობს პანამაში მუდმივად დაბინავებულ ამერიკის სამხედრო კონტინგენტს, შტაბს დაექვემდებარება აგრეთვე ამერიკის უშიშროების ძალები, რომლებიც პანამაში ამერიკის სამხედრო ბაზებსა და სხვა ობიექტებს იცავენ. მთლიანად პანამის ტერიტორიაზე მუდმივად იმყოფება 7-დან 10 ათასამდე ჯარისკაცი. ბოლო ხანს პენტაგონმა ამ ქვეყანაში დამატებით გადაიყვანა სამი ათასი სამხედრო მოსამსახურე.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **პრაღა.** კვირას ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში დამთავრდა მშვიდობისათვის, განიარაღებისა და უშიშროებისათვის მებრძოლ მეცნიერთა პაგუოშის მოძრაობის 50-ე სიმპოზიუმი. მის მუშაობაში მონაწილეობდა ევროპის, აზიისა და ამერიკის 24 ქვეყნის 70 დელეგატი, მათ შორის საბჭოთა კავშირის მეცნიერთა დელეგაცია. ფორუმზე მთავარი იყო ევროპაში ბირთვული და ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნის, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დარგებში მეცნიერთა თანამშრომლობის საკითხები.

● **პარიზი.** კანადის ხელისუფლებმა გაათავისუფლეს საფრანგეთის თევზსაჭერი ტრაულერის „კრუა დე ლორენის" ეკიპაჟი. იგი ორი დღის წინათ დააკავეს ნიუფაუნდლენდის კუნძულის ნაპირებთან კანადის ეკონომიკურ ზონაში თევზის უკანონო რეწვის ბრალდებით. 17 მეზღვაურის გარდა, გემზე იყო კანადის ნაპირებთან განლაგებული საფრანგეთის სენ-პიერისა და მიკელონის კუნძულების ხელისუფლების ორგანოების ოთხი წარმომადგენელი, რომლებსაც საფრანგეთის ზღვისიქითური დეპარტამენტის სტატუსი აქვთ.

ფოტოფაქტი

მადრიდი. ტანტეგორაში განლაგებულ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზაში ტრადიციული საგაზაფხულო მარში მოაწყვეს ესპანეთის მურასის პროვინციის მშვიდობის მომხრეებმა. იგი გაიმართა ლოზუნგებით — „არ გვინდა ნატო!", „გაიტანეთ ამერიკული ბაზები!". მანიფესტანტებმა მოითხოვეს ხმელთაშუა ზღვიდან მე-6 ამერიკული ფლოტის გაყვანა და ესპანეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული ამერიკის სამხედრო ბაზების შესახებ ახალი შეთანხმების დადებაზე უარის თქმა.

სურათზე: საგაზაფხულო საპროტესტო მარშის მონაწილენი.

საქდესის ფოტო.

ვინ მოკლა აბუ ჯიჰადი

ნიუ-იორკი. თვალსაჩინო პალესტინელი მოღვაწის აბუ ჯიჰადის მკვლელობა ჩაიდინა ისრაელ „კომანდოსთა" სპეციალურმა ჯგუფმა. ამას იუწყება ამერიკული ჟურნალი „ტაიმი". ყოველკვირეულის ახლოაღმოსავლელი კორესპონდენტების მიერ შეგროვილი მონაცემები საშუალებას იძლევა საკმაოდ ზუსტად წარმოსახონ მკვლელობის სურათი. „მთელი ოპერაცია, — ნათქვამია სტატიაში, — მოაწყო ისრაელის 30 კაცისაგან შემდგარმა შეიარაღებული ძალების სპეციალური დანიშნულების ჯგუფმა". მათ ისარგებლეს რეზინის გასაბერი ნავებით და ტუნისის ტერიტორიაზე გადასხდნენ. ტუნისში ისრაელი „კომანდოსები" შეხვდნენ სამ კაცს, რომლებსაც „ლიბანის მოქალაქეთა პასპორტები" ჰქონდათ. მათ გამოუყვეს ორი მიკროავტობუსი და მსუბუქი ავტომობილი. მკვლელებმა, თავდასხმა რომ მოახდინეს, იმავე გზით გაიქცნენ, რომელმაც ისინი ტუნისში მოიყვანა, ამტკიცებს ამერიკული ყოველკვირეული.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

„სასწავლო" ფესტივალი

მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის ტრადიციული მე-18 ფესტივალი გაიხსნა მოსკოვში. დათვალიერებაზე წარმოდგენილი ფილმები გადაიღეს სტუდენტებმა, რომლებიც რუმინეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბელგიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების კინემატოგრაფიის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

საბჭოთა შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლებიდან კინოდათვალიერებაში მონაწილეობენ საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტისა და კიევის თეატრალური უმაღლესი სასწავლებლის კინოფაკულტეტები. მაყურებლისა და ჟიურის სამსჯავროზე გამოტანილი იქნება თბილისელი დიპლომანტების კინოლენტები — ა. შანშიაშვილის „მწყემსი" თ. ბიბილურის მოთხრობის მიხედვით, ნ. ლაპიაშვილის „დივერტისმენტი" და დ. კვირცხალიას „ერთხელ". ეს ფილმები გადაღებულია სახელოსნოებში, რომლებსაც ლანა ღოღობერიძე და ომარ გვასალია ხელმძღვანელობენ.

კონკურსის შედეგები ორი კვირის შემდეგ გახდება ცნობილი.

▼ ▼

მოძრაობა გაიხსნა, მაგრამ საშიშროება კვლავ არის

გასულ შაბათს, დილის ხუთ საათზე ნატახტარ-ბესლანის ავტომაგისტრალის 67-ე კილომეტრზე მოსკდა ღვარცოფი, რომელმაც რამდენიმე საათით შეწყვიტა ტრანსპორტის მუშაობა. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ სასწრაფოდ გაგზავნეს რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს №26 საგზაო უბნის კოლექტივები და ადგილობრივი მოსახლეობა. მექანიზატორებმა სწრაფად გაიყვანეს შემოსავლელი გზა, შემდეგ კი შეუდგნენ მაგისტრალის გაწმენდას. რამდენიმე საათში მათ გადააადგილეს ასობით კუბური მეტრი ტალახი, ქვა და მოსპეს ნაყარი. მაგრამ მოძრაობა გზაზე არ აღდგენილა, რადგან, სანამ გზის მუშაკები 67-ე კილომეტრზე მუშაობდნენ, სოფელ კობთან ჩამოწვა ზვავი, რომელმაც მთელ 150 მეტრზე ჩახერგა გზა. აქ სამ საათს მუშაობდნენ №27 საგზაო უბნის მექანიზატორები და გაწმინდეს გზა.

— სანამ მთებში თოვლი დნება, — თქვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს ცალკე დივიზიონის მექანიზებული ოცეულის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა კარლო საკაშვილმა, — ზვავის ჩამოწოლის საშიშროება კვლავ არის. ამიტომ სასურველია, თუ განსაკუთრებით საჭირო არ არის, არ გაზიდეთ ავტომაგისტრალის ამ უბანზე.

▼ ▼

გუჯარულა რომ ადიდდა...

17 აპრილს, შუაღამისას ბორჯომის ხეობას თავს დაატყდა ძლიერი წვიმა და ქარი, მთებში მოთოვა.

გუჯარულა — მთის დაუდგრომელი მდინარე სწრაფად ადიდდა, არდაგანის დასახლებაში მდინარის კალაპოტი ორ მეტრამდე აიწია, დასახლებაში შევარდა, ოთხი სამანქანე ხიდიდან ორი მთლიანად დაანგრია და წაიღო, დატბორა დასახლების ტერიტორია, საძირკველი გამოურეცხა ორ საცხოვრებელ სახლს.

მოსახლეობა ორგანიზებულად აღუდგა მდინარის შემოტევას. ბორჯომიდან მაშველი რაზმი წამოვიდა. მოსახლეობა საშიში ზონიდან გამოიყვანეს, მსხვერპლი არ არის. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები სტიქიის შემოტევის ლიკვიდაციისათვის.

რუბრიკისათვის გამოყენებულია საქდესის, საქინფორმისა და „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთა მასალები.

მამულიშვილი

ჩვენი იოსებ ნონეშვილი

კალენდრის ფურცელი გვამცნობს, რომ დღეს იოსებ ნონეშვილს დაბადების 70 წელი მიუსრულდებოდა.

თითქოს კვლავ ვხედავ:

„იგი რუსთველზე ღიმილით
მიდის,
ნაცნობს თუ უცნობს დაასწრებს
სალამს.
რადგან ქართველი,
ამ მიწის მკვიდრი,
საკუთარ და-ძმად ევულვის
მარად".

და ვგრძნობთ, აშკარად ვგრძნობთ, დღეს როგორ გვაკლია იგი — პოეტი-ტრიბუნი, ახალი საქართველოს ლვიძლი შვილი და მომღერალი. იგი ყველგან იყო — თავისი ხალხის ჭირსა და ვარამს იზიარებდა. იოსებ ნონეშვილი — ომში, მშვიდობიან პერიოდში — ველ-მინდვრებში, ზვრებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სოფლად, ქალაქად, შეხვედრებზე, დღესასწაულებზე. უცხოეთიდანაც ისმოდა ხოლმე მისი მგზნებარე ხმა: „ხალხის სიდიდე განისზომება არა რიცხოვნებით, არამედ მისი წვლილით საერთო საკაცობრიო კულტურაში"...

70 წლის იოსებ ნონეშვილი! ვაი, რომ ვერ მოესწრო იგი ამ თარიღს... მივულოცავდით, მივუალერსებდით, მივეიყვარულებოდით, სამშობლოს სამსახურისთვის მადლობას ვეტყოდით... მერე კი იგი თავის ლექსებს გვეტყოდა ნაღდი, გულიანი, გამორჩეული ხმით.

„დღეს საქართველოს ისე
სჭირდება
ჩვენი გული და ჩვენი
მარჯვენა".
„სხვა შუქმადლით ბრიალებს
რესპუბლიკა ჩემი".
„ალალ! რაც გასხურე
წვეთი ჩემი ოფლის.
გექცეს საუკუნედ
წუთი წუთისოფლის".
„გვიყვარდეს საქართველო
მეტად!...
უფრო მეტად!..."

„და ვგრძნობ: ლანდივით მეც დამემგზავრა" მისი ლამაზი ცხოვრების ფურცლები, მოგონებები იმ ლამაზ დღეთა, როცა ძველი აკადემიის ნაფუძარზე სიამაყით დააბიჯებდა სტუმრებთან ერთად, როცა ჩვენთან ახალ ლექსს დააჭაშნიკებდა, როცა ლექს-სიმღერად იღვრებოდა, „სწამს მასში ბორგავს სამყარო ვრცელი, მიწით... ჰაერით... ცეცხლით და წყლით", როცა თავის წიგნებს გვიძღვნიდა გულთბილი წარწერებით.

ეს კი ჩვენს მთაბეჭდილებათა წიგნში ჩაუწერია:

„ცივ-გომბორიდან სიმღერით
სიცოცხლის გადასახედი,
მოსჩანს იისფერ ნისლებში
კახეთი, ჩემი კახეთი...
...ღრუბლებში ამაღლებული
დგას ალავერდის ტაძარი,
ფიქრივით მიმოფანტულა
ნანგრევები და ნაგარი
იყალთოს დიდი ტაძრისა,
იყალთოს სიბრძნის ტაძრისა,
რომლის სხივებმა წინაპარს
გზა მწუხრში გაუნათლისა...
ვწერდი მრავალი წლის წინათ

ამ სტრიქონებს. და დღეს, როდესაც ვგრძნობ იყალთოს აკადემიის ნანგრევთა შორის არ ჩაქრალა სულმნათ წინაპართა შუქმადლი, გულს საიყალთოო ახალი ლექსები ეძალება. მომავალ შოთაობას წაგიკითხავთ ამ ლექსებს. მანამდე კი მინდა გულითადი მადლობა ვუთხრა იყალთოელებს... რომელთა გულმოდგინებამ აკადემიის ნანგრევებს ახალი შუქი გააჩინა. ეს შუქი მარტო ათინათია როდია ოდესღაც აქ საქვეყნოდ გაბრწყინებული სიბრძნის კერისა, იგი მაგალითიც არის თუ რაოდენ მოწადინებულია ჩვენი თაობა წმინდად შეინახოს და თავისი სითბო და სინათლეც შემატოს წინაპართა დიად ლვაწლსა და შემართებას.

თუ დღემდე სადაა რომელ კუთხეში, რომელ რუსთავში დაიბადა რუსთაველი, გიხაროდეთ იყალთოელებო, რომ ერთი რამ უდავოა: აქ, იყალთოში სწავლობდა იგი, აქ ყალიბდებოდა როგორც პოეტი და მოაზროვნე".

დანაპირები შეასრულა და მართლაც, მომდევნო შოთაობაზე იყალთოში იყალთოზე ახალი ლექსით ჩამოვიდა:

„იყალთო...
იყალთო...
იყალთო...
ემბაზი რუსთველის სიბრძნის.
აქ მარადისობა ბინადრობს,
აქ ჭაბუკ შოთას ხმა ისმის.
იყალთო..
იყალთო...
იყალთო...
წინაპრის ფიქრი და სისხლი.
წვიმა სცრის ვარდისა,
ია თოვს,
მთებს ლურჯად ედება ნისლი.
არ ვიცით სად იშვა, სად არა,
ერთი კი არავის
უკვირს:
აქედან რუს თავი პატარა
დაიძრა ზღვა სიბრძნის შუქით.
ათას გზის თუმც მოიწადინა
მტერი ვერ აღწევდა
წადილს...
ნანგრევებს ამ სიბრძნის
ტაძრისას
პფარავდა რუსთველის მადლიც.
ახლა შეძახილი ისმის სხვა,
დღეს სხვა იყალთოთი
ვხარობთ...
არ ჩაქრა ლამპარი
სიბრძნისა,
არ დაშრა ოცნების წყარო.
შეხედეთ იყალთოს მთაგორებს,
შოთას ნაწერია თითქოს.
აქ ბევრი გლეხკაციც გვაგონებს
ტარიელს,
ავთანდილს,
ფრიდონს.
იყალთო..
იყალთო...
იყალთო...
ემბაზი რუსთველის სიბრძნის.
აქ მარადისობა ბინადრობს
აქ ჭაბუკ შოთას ხმა ისმის".

მეტად ყურადღებიანი და გულისხმიერი გახლდათ იოსებ ნონეშვილი. არ დამავიწყდება, ერთხელ მწერალთა კავშირში შევესწარი, სამუშაოზე მოწყობას თხოვდა ერთი ახალგაზრდა. იოსებმა პარტიის რაიკომის მდივანს სწერდა (ჩვენში დარჩეს და იგი მას არ იცნობდა, ამიტომ რაიკომის მდივნის სახელი პკითხა) პოდა: — ძმაო... ამ ბარათის მომტანი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტია, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებს საქართველოს მწერალთა კავშირი. აი, უკვე მერამდენე წელია უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და უმუშევარი დადის. გავიგეთ მაქეთ რაღაც ადგილი გამოჩენილა, იქნება მოუხერხო რამე. და შემდეგ... გკოცნი, გეხვევი შენი იოსებ ნონეშვილი. მერე იმ ახალგაზრდას მიუბრუნდა, ჰკითხა

სამგზავრო ბილეთი თუ გაქვსო. რკინიგზის სადგურში გადარეკა. სამგზავრო ფულიც მისცა... ალტაცებისაგან, სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექნა იმ ახალგაზრდას, გაოგნებული იდგა და მადლობას იხდიდა.

რამდენი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა ჩვენს კეთილ იოსებზე. ეხლა კი

„საქართველოში გაზაფხულია,
მზე დამზრალ მთა-ბარს
სხივებს ასხურებს"

შენ კი აღარ ხარ, შენ კი აღარ ხარ!, მაგრამ შენი ლექსებით ცოცხლობს შენს სათაყვანო საქართველოში შენი დიდი გული.

გ. ჟათირიშვილი,
იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.

ვ. გენგიურის („კომუნისტი") ფოტო.

იონა ვაკელი



ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ დიდი დანაკლისი განიცადა — 87 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი იონა ვაკელი (იონა ლუკას ძე მეგრელიძე).

იონა ვაკელი დაიბადა 1900 წლის 10 ნოემბერს ოზურგეთის მაზრის (ამჟამად მახარაძის რაიონის) სოფელ ვაკეში. პირველდაწყებითი განათლება მშობლიური სოფლის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო. შემდეგ სწავლა ფოთში განაგრძო, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული შეიქნა თავი ფიზიკური შრომით ერჩინა. 1920 წელს მან წარჩინებით დაასრულა თბილისში შალვა ნუცუბიძის მიერ დაარსებული განათლების კურსები. შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

სხვადასხვა დროს იონა ვაკელი მუშაობდა საქართველოს საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის ინსტრუქტორად, გაზეთ „კომუნისტის" ლიტერატურული დამატების „ჩირაღდნის" პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „რემბლასის" პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „მუშის" განყოფილების გამგედ.

1920 წელს გამოქვეყნდა იონა ვაკელის პირველი ლექსები. მას შემდეგ მისი ლექსები, პოემები, პიესები, თარგმანები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად, იდგმებოდა თეატრების სცენაზე.

განსაკუთრებული ნაყოფიერებით მოღვაწეობდა იონა ვაკელი დრამატურგიის ჟანრში. მისი პიესები დიდი წარმატებით იდგმებოდა რესპუბლიკის წამყვანი თეატრების სცენაზე. მათგან ცალკე აღნიშვნის ღირსია „აპრაკუნე ბიჭმემიელი", რომელიც დრამატურგმა ოცდაათიან წლებში შექმნა. ეს მძაფრი სატირული კომედია მხატვრული სიმართლით გვიხატავდა ქართულ სოფელს, ებრძოდა სოციალისტური ურთიერთობების დამყარების პროცესში შენიშნულ ნეგატიურ მოვლენებს, მეძროვეებს და უსაქმურებს.

იონა ვაკელი ქართული საბჭოთა ტრაგედიის ერთ-ერთი დამამკვიდრებელია. მის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი ტრაგედიები „შამილი", „შოთა რუსთაველი" და „გიორგი სააკაძე".

იონა ვაკელმა ქართულად თარგმნა პუშკინის, ლერმონტოვის, გოეთეს, ჰაინეს, შილერის ნაწარმოებები.

წლების მანძილზე მწერალი აქტიურ საზოგადო საქმიანობას ეწეოდა. არაერთგზის იყო არჩეული თბილისის კალინინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დეპუტატად, საქართველოს მწერალთა კავშირისა და თეატრალური საზოგადოების გამგეობათა წევრად, საქართველოს მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექციის ბიუროს თავმჯდომარედ.

იონა ვაკელი საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი და დიდი ხნის მანძილზე მისი ბიუროს წევრი იყო.

იონა ვაკელი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით და მრავალი მედლით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, 1960 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ჩვენგან წავიდა ღვაწლმოსილი შემოქმედი, უკეთილშობილესი პიროვნება და სამაგალითო მოქალაქე. მისი ნათელი სახე მუდამ იცოცხლებს ქართველი ხალხის ხსოვნაში.

ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ვ. გ. ლორთქიფანიძე, ი. ბ. აბაშიძე, ნ. ა. ფოფხაძე, ნ. გ. ჩერქეზიშვილი, ვ. რ. ასათიანი, ა. რ. სანებლიძე, ხ. მ. გერულავა, ლ. რ. თაბუკაშვილი, რ. კ. ინანიშვილი, გ. დ. ლორთქიფანიძე, გ. დ. ნახუცრიშვილი, შ. გ. ნიშნიანიძე, ა. ს. სულაკაური, ჯ. ნ. ლვინჯილია, ჯ. ა. ჩარკვიანი, თ. ი. ჭილაძე, ი. დ. ჯაველიძე.

სპორტი

„არარატმა" უკეთ ითამაშა

პირდაპირ უნდა ითქვას, თბილისის „დინამო" ერევნის „არარატთან" გუშინდელი მატჩი წლევანდელ სეზონში გამართულ სხვა შეხვედრებთან, თვით გასვლით მატჩებთან შედარებითაც კი ყველაზე მდარედ წარმართა. ეს ითქმის განსაკუთრებით პირველ ტაიმზე. თავიდანვე გაოცება გამოიწვია დინამოელთა რიგებში ახლებურმა განლაგებამ: საკმაოდ გამოცდილი სტოპერი თევზაძე წინ — ნახევარდაცვაში იყო წაწეული, კეტაშვილი კი მისთვის ჩვეული ადგილიდან სტოპერად მოგვევლინა. ეტყობა, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ გუნდმა საკმაოდ დიდხანს ვერა და ვერ მოახერხა რამდენადმე მწყობრი სისტემით თამაში. სტუმრებმა კარგად გამოიყენეს ეს ვითარება და, პირველ ტაიმში მასპინძელთა კართან შექმნილი სახიფათო სიტუაციებიდან — ორი ბურთის გატანით დაავგვირგვინეს: 28-ე წუთზე სწრაფი კონტრიერიშის შედეგად ბურთი გაიტანა კირაკოსიანმა, 41-ე წუთზე კი გაბელიას შორიდან დარტყმული ბურთი ხელიდან გაუვარდა და მელიქიანმა გაზარდა ანგარიში. 2:0 — ასეთი აქტივით წავიდა „არარატი" შესვენებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მელიქიანის, ენგიბარიანისა და ქოჩარიანის მახვილგონივრულმა მოქმედებამ არაერთხელ ჩააყენეს კრიტიკულ მდგომარეობაში თბილისელები. უფრო მეტიც, ისინი თბილისელთა საჯარიმო მოედანზე სრულიად თავისუფლად მოძრაობდნენ და, მეტწილად მათი მანევრების ამოცნობასა და ხელის შეშლას დინამოელები ვერ ახერხებდნენ.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა თანდათანობით თბილისელთა სასარგებლოდ შეიცვალა. ჭერ იყო და მეორე ტაიმის მეორე წუთზე დინამოელთა დაცვის ხაზიდან ძლიერად დარტყმულმა ბურთმა ყველას და ყველაფერს აუარა გვერდი, იგი კარის სიახლოვეს გურულმა მიიღო და სხვა ჩარა რომ არ იყო, ერევნელებმა გურული წააქციეს. მანვე შეასრულა თერთმეტრიანი საჯარიმო — 2:1. ტაბლოზე ეს ანგარიში დარჩა ბოლომდე. „არარატმა" ამჯერად თბილისის „დინამოზე" გაცილებით უკეთ ითამაშა. მართალია, მეორე ტაიმის დასკვნით ნაწილში დინამოელებმა ერევნელები „მიაჭაჭვეს" საკუთარ კარს, ერთხანს ჩრდილში მდგომმა მესხმაც რამდენიმე სახიფათო იერიში წამოიწყო, რამდენიმე საუცხოო პასით თანაგუნდელებს კარის აღების საშუალებები შეუქმნა, მაგრამ სამწუხაროდ.. ბურთი თბილისელებს ერთთავად ფეხებში ებლანდებოდათ.

ასეა თუ ისე, ამჯერად „დინამომ" ვერ გაგვახარა და ცხადია, ამ მატჩიდან სათანადო დასკვნები თავად ჩვენმა ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა უნდა გამოიტანონ.

წინადღეს დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

ჯ. ენუქიძე.

• • •

გთავაზობთ ამ ტურის დანარჩენი მატჩების შედეგებსაც: მინსკის დინამო"-„ზენიტი" — 1:1, „შახტიორი"-„ჩერნომორეცი" — 0:1, „დნეპრი"-„სპარტაკი" — 0:0, „მეტალისტი"-„ტორპედო" — 1:1, „ჟაირათი"-კიევის „დინამო" — 0:1, „ლოკომოტივი"-„ჟალგირისი" 2:2, მოსკოვის „დინამო"-„ნეფთჩი" — 1:0.

მოკლედ

კრივი. საფრანგეთის ქალაქ სენ-ნაზერში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე სხვა საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ალბერტ კაზანჯიანმა. მან ფინალური შეხვედრა მოუგო ვენესუელელ ხოსე ერნანდესს და 54 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა.

თანამედროვე ხუთჭიდი. „მოსკოვის თასის" გათამაშების მესამე დღეს ხუთჭიდელებმა ცურვაში იასპარეზეს. ლენინგრადელი ალექსანდრე მერზლოვი ცურვაში პირველი იყო — 3.12,02. თბილისელ ვახტანგ იაგორაშვილს მეორე შედეგი ჰქონდა — 3.14,02. სამი სახეობის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის მეორე ნაკრები ლიდერობდა — 9777 ქულა. აღსანიშნავია, რომ იაგორაშვილი სწორედ ამ გუნდის ღირსებას იცავს. პირად ჩათვლაში დაწინაურებულია ანატოლი ავდეევი, რომელმაც სამი სახეობის შემდეგ 3368 ქულა დააგროვა.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე.



საკორესპონდენტო პუნქტები:

სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; სამტრედია — 2-19-90; ზუგდიდი—2-28-40; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი—3-12-09; ტყიბული — 25-82.

რედაქციის მისამართი:
380096, თბილისი,
ლენინის ქ. № 14

ტელეფონები:
ცნობებისათვის — 93-95-54
მშრომელთა წერილების განყოფილება — 99-73-24

ტელევიზია—სამშაბათი, 19 აპრილი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — „მე, შენ და ჩვენ ყველანი ერთად". 10.20 — ახალი ამბები. 10.25 — მხატვრული ტელეფილმი „კლიმ სამგინის ცხოვრება". XI და XII სერია. 16.30 — ახალი ამბები. 16.40 — ყალმუხეთის ტელესტუდიის პროგრამა. 17.25 — ახალი ამბები. 17.30 — უკრავს რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ვ. კლიმოვი (ვიოლინო). 18.00 — მულტფილმები. 18.30 — დოკუმენტური ტელეფილმი „დიმიტრი ნალბანდიანი". 19.30 — XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის შესახვედრად, ვსწავლობთ დემოკრატიას. კოოპერაცია, როგორც საბჭოური დემოკრატიის ერთ-ერთი ფორმა. 20.00 — დღეს მსოფლიოში. 20.20 — მხატვრული ფილმი „შევინარჩუნოთ ქალაქი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — „კლიმ სამგინის ცხოვრება". XII სერია. 24.00 — დღეს მსოფლიოში. 0.10 — გაფრთხილება. როგორ ვრცელდება ნეომისტიკური სექტები და არატრადიციული რწმენანი დასავლეთში. საბჭოთა კავშირში მათი დანერგვის ცდები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — „ყურადღება: ექვსწლედები!". 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. II კლასი. 9.55 და 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.05 და 12.05 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ესთეტიკური აღზრდა. 11.35 და 12.35 — მუსიკა. I კლასი. 13.05 — მხატვრული ტელეფილმი „რეპუტაცია". 14.15 — დოკუმენტური ფილმი „მსახიობი". 14.40 — მღერის ვ. პროკუშევა. 15.05 — ახალი ამბები. 15.10 — განმეორებითი ტელეფილმის დღის სეანსი. „ინჟინერ გარინის კრახი". მხატვრული ტელეფილმი. I სერია. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — რიტმული ტანვარჯიში. 19.45 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 20.30 — მუსიკალური კიოსკი. 21.00 — „ძილი ნებისა პატარებო!" 21.15 — კინოჟურნალი „აღმოსავლეთ ციმბირი. 21.30 — ყველასა და თითოეულისათვის. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — შენი და ჩემი სიმღერები. პატრიოტული მუსიკის კონკურსი ქ. ივანოვოში. 23.40 — „მივმართავ მეგობრებს". პოეტ ი. სმელიაკოვის შემოქმედება. 0.35 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს". 13.50 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე". 14.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 14.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მერვე საოცრება". 15.10 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.50 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.30 — „საერთაშორისო დღიური". 17.05 — განცხადებები. 17.10 — „ჩვენი სოფელი" (ზუგდიდის რაიონის სოფელი კოკი). 17.30 — „ჯადოსნური ეკრანი". 17.45 — მოსწავლეთათვის. „შეხვედრა მწერალთან". 18.35 — ხალხური შემოქმედება. „სარედაქციო ფონდიდან". 19.10 — გარდაქმნის წახნაგები. „როგორ მოვემზადეთ საგაზაფხულოდ". 19.35 — ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი. „უკრაინელ თანამოკალმეთა გვერდით". 20.00 — მოამბე. 20.40 — გულახდილი საუბარი უნივერსიტეტში. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ლიტერატურული თეატრი. „ზოგი რამ წარსულიდან".

მეორე პროგრამა. 17.05 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სროლისა და დევნის გარეშე". 18.20 — მასწავლებლის საათი. ქართული ლიტერატურა. 19.05 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები „ტატიანა — ბორისი" და „ხეიბარი". 20.00 — მოამბე. 20.40 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ცემენტი". II სერია.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 05299 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14